ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 26 ნოემბერი 2007 №273 (3196) ფასი 50 თეთრი




# წილი გვიყარეს!

## შოტლანდიის მომგებს ამათი დამარცხებაც შეუძლია, ლიტვასთან წაგებული ამათთანაც შეიძლება დამარცხდეს

## იტალია ბულგარეთი ირლანდია კვიპროსი ჩერნოგორია

## ვნახოთ, რას იზამს საქართველო

# წილისყრის მერე, ცხადია, გვაქებენ

## მთავარია, ბოლოს შეგვაქონ

***დიმიტარ პენევი,*** *ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელი:*

— კარგად მახსოვს საქართველოსთან მატჩები. ბულგარეთში გაჭირვებით მოვიგეთ, ხოლო თბილისში სულაც წავაგეთ. მაშინ ქართველებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავდათ... ამ ჯგუფში კი გამოუცნობი მეტოქეები შეგვხვდნენ, ნამდვილად არ ვიცი, რომელი როგორი გუნდია — გვითხრა დიმიტარ პენევმა, რომელიც კენჭისყრის შემდეგ წუთით მოვიხელთეთ სასტუმროს ნომერში...

**— ჯგუფის ფავორიტებად ვის მიიჩნევთ?**

— დღეს ძნელია, რომელიმე გუნდი გამოარჩიო. ვერაფერს გეტყვით, ეს ის ჯგუფია, სადაც ყველას შეუძლია მეორეობისთვის ბრძოლა.

**— პირველი იტალიაა?**

— ეს შესარჩევის ბოლოს ვნახოთ... დღეს კი იტალია ნამდვილად ფავორიტია.

**— საქართველოზე რას იტყვით?**

— საქართველო ძალიან რთული მეტოქე იქნება.

***ილია სპასოევიჩი,*** *თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი:*

— ჩერნოგორია ნამდვილად არ მოხვდა იოლ ჯგუფში. შეიძლებოდა, მეხუთე კალათიდან საქართველოზე სუსტი მეტოქე შეგვხვედროდა, მაგრამ... საქართველოსთან ერთად რომ არის ჩერნოგორია, ეს ჩემთვის ძალიან კარგია, თუმცა ვიცი, რომ ჩემს ქვეყანაში სხვანაირად ფიქრობენ, იქ კმაყოფილები არ არიან.

**— ჩერნოგორიის მიზანი რა იქნება მომავალ შესარჩევში?**

— როგორ გითხრათ, ალბათ ის, რომ ბოლო ადგილზე არ გავიდეთ... ჯგუფში მეოთხე ადგილიც, ვფიქრობ, ჩვენთვის წარმატება იქნება.

**— როგორ ფიქრობ, საქართველოსთან ითამაშებ?**

— ამასწინათ ჩერნოგორიის 21-წლამდელთა ნაკრებში გამომიძახეს და იმედი მაქვს, მომავალში ეროვნულში დამიძახებენ. ვნახოთ. ძალიან მინდა, ასე იყოს, ჩერნოგორიის ნაკრებში თამაში, მიმიხვდებით, ჩემი დიდი სურვილია...

**კობა ინასარიძე**

# 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# VIII ჯგუფი. ჩვენი მეტოქეები

## საქართველოს პენევი დაუბრუნდა


დიმიტარ ბერბატოვი

**საქართველოს** ნაკრების თანაჯგუფელებიდან ყველაზე ახლოს ტერიტორიულად ბულგარეთია — ერთი ზღვის გაწვდენაზე.

საქართველოს მსგავსად ფეხბურთი ბულგარეთშიც ზღვიდან შევიდა — შვეიცარიელმა მასწავლებელმა ჟორჟ დე რეჟიბიუსმა ბულგარელებს ფეხბურთის გაკვეთილი 1894 წელს საკურორტო ქალაქ ვარნაში ჩაუტარა და ეს დღე ითვლება ბულგარული ფეხბურთის დაბადების დღედ. პირველი საფეხბურთო კლუბი კი 1909 წელს ჩამოყალიბდა.

1923 წლიდან ფიფას წევრია, 1954 წლიდან კი უეფასი.

ბულგარული ფეხბურთის ყველაზე დიდ მიღწევად ორი ოლიმპიური მედალი ითვლება — 1968 წელს ვერცხლის, ხოლო 1956 წელს ბრინჯაოსი. თუმც არანაკლებ წარმატებულად უნდა ჩაითვალოს 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე დაკავებული მეოთხე ადგილი, როდესაც მესამე ადგილისთვის მატჩში 0:4 წააგეს შვედებთან.

ბულგარეთის ნაკრები ორჯერ მონაწილეობდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე — 1996 წელს (მაშინ ბულგარეთი და საქართველო შესარჩევ ეტაპზე ერთ ჯგუფში იყვნენ) და 2004 წელს.

გაცილებით ხშირად ბულგარელები მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე თამაშობდნენ — 7-ჯერ. 1962, 1966, 1970, 1974, 1986, 1994 და 1998 წლებში.

ახლახან დასრულებული ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ჯგუფური ბარიერი ბულგარელებმა ვერ დაძლიეს და ეს პატივი რუმინეთსა და ჰოლანდიას გადაულოცეს.

ამჟამად ფიფას რეიტინგში ბულგარელებს მე-18 პოზიცია უკავიათ.

სადღეისოდ ბულგარეთის ნაკრების დამრტყმელ ძალად „ტოტენჰემის" თავდამსხმელი დიმიტარ ბერბატოვი ითვლება. არანაკლებ პოპულარობით სარგებლობენ თავიანთ ქვეყანაში „მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველი მარტინ პეტროვი და მისი მოგვარე სტილიან პეტროვი „ასტონ ვილადან".

ბულგარული ფეხბურთის ლეგენდებად ითვლებიან ხრისტო სტოიჩკოვი, ემილ კოსტადინოვი, კრასიმირ ბალაკოვი, ამჟამად ბულგარეთის ფეხბურთის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი იორდან ლეჩკოვი და პრეზიდენტი ბორისლავ მიხაილოვი. მათგან ყველაზე გამორჩეული ფიგურა ხრისტო სტოიჩკოვია. აღსანიშნავია, რომ სტოიჩკოვის შემდეგ ბულგარეთში ყველაზე პოპულარული სწორედ ახლა მოთამაშე ბერბატოვია.

ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელი კი დიმიტარ პენევია, სწორედ ის პენევი, რომელიც 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისას თავკაცობდა ბულგარელებს და საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ორჯერ მოუწია გუნდის გამოყვანა. პირველი ბულგარეთში, ემილ კოსტადინოვის დუბლით მასპინძლებმა მოიგეს, მეორე თბილისში კი, ქართველებმა — შოთა არველაძისა და გიორგი ქინქლაძის გოლებს მატჩის ბოლოს ხრისტო სტოიჩკოვმა უპასუხა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

*საუკუნეთა განმავლობაში ბულგარელი ერის მთავარი თავისტკივილი ალბათ ის იყო, რომ ისინი ხალხთა მიგრაციის დიდ გზაჯვარედინზე ცხოვრობდნენ, ჯერ ბერძენ-ბიზანტიელების, შემდეგ კი თურქების მეზობლად. ვინც აივლიდა და ჩაივლიდა ამ გზაჯვარედინზე ყველა ბულგართა მეფეებს და მთავრებს უბრახუნებდა კარზე ხარკი გვიხადეთო. ისინიც ხან უხდიდნენ, ხან არა და, ათას ომსა და ორომტრიალში გამოვლილებმა ენა და სარწმუნოება დღემდე მოიტანეს. ბოლო ის, რომ ბევრ ბულგარელს დღესდღეობით ნამდვილად არ დაჰკრავს სლავის იერი, ესეც ამ გზაჯვარედინზე გაცხოველებული მოძრაობის და გენოფონდის არევის ბრალი უნდა იყოს. ბულგარეთი ბევრით ჰგავს საქართველოს, ჩვენს გაზედ ზღვა, მაღალი მთებიც აქვს და მზიანი პლაჟებიც, მაგრამ ევროკავშირში ნამდვილად დაგვასწრებს შესვლას, რაკილა ნამდვილ ევროპასთან გაცილებით ახლოსაა.*

*სხვაფრივ კი – გავვივით, ქალაქ გაბროვოში კატებს კუდებს აჭრიან, რადგან ძალიან ზანტები არიან და ზამთრის სუსხიან საღამოს რაც შეიძლება მალე შეხტნენ თბილ ოთახებში.*

**ბოტე ყორშია**


მალხაზ ასათიანი ირლანდიის წინააღმდეგ

## ირლანდია: ინგლისელის დაწყებული ზღაპარი

**ლატვია** რომ ევრო 2004-ზე გავიდა, აი, დაახლოებით ამგვარი სენსაცია იყო ირლანდიის 1988 წლის ევროპის ჩემპიონატზე გაჭენება. ვინ ელოდა? არც არავინ, მანამდე ირლანდიას საფეხბურთო რუკაზე არავინ იცნობდა. ჩრდილოეთ ირლანდია გაცილებით სახელიანი იყო.

კელტების აღზევება ინგლისელ მწვრთნელ ჯეკი ჩარლტონს უკავშირდება. ამ კაცმა იმდენი მოახერხა, რომ მანამდე ქულების გასაცემ მანქანად ცნობილი ნაკრები ევროპაზე ათამაშა და პირველ ტურში ინგლისს 1:0 მოუგო! ეს უკვე სასწაული იყო. ირლანდია ნახევარფინალში გადიოდა და მხოლოდ ბოლო წუთებში ჰოლანდიელი ვიმ კიფტის თავურით დარჩა ჯგუფში. ირლანდიის ჯგუფიდან ჰოლანდია — საბჭოთა კავშირი გავიდნენ და ფინალიც ამათი იყო.

კევინ შიდი, ტონი კასკარინო, ჯონ ოლდრიჯი, რეი ჰაუთონი, სტივ სტონტონი — ესენი იყვნენ ჯეკი ჩარლტონის ნაკრების ლიდერები. მათი სახელები არ ქუხდა, მაგრამ ბიჭი იყავი და ამათთვის მოგეგო...

ორი წლის შემდეგ მუნდიალ 90-ზე ირლანდიამ ჯგუფიდანაც გააღწია და მეოთხედფინალსაც უწია, სადაც მასპინძელ იტალიასთან ოდენ 0:1 წააგო. ირლანდიური ზღაპარი გრძელდებოდა!

ზურმუხტოვანი კუნძულის, ინგლისისგან ნაგვემ-დაჩაგრული ქვეყნის შვილები უკვე დამკვიდრდნენ საფეხბურთო ევროელიტის მახლობლად, თუმც ტიტულის აღება ნამეტანი იყო — იქამდე ვერ იქაჩებოდნენ.

მერე და მერე უფრო წამოვიდნენ ირლანდიაში ვარსკვლავები, რომელთაგან ყველაზე ცნობილი, ცხადია, როი კინი გახლდათ — ოქროს „მანჩესტერის" კაპიტანი, სული და გული.

ირლანდიელებმა ბოლოს დიდ ტურნირზე 2002 წელს ითამაშეს. კორეა-იაპონიაში გამართულ მუნდიალზე მერვედფინალში პენალტებით წააგეს ესპანეთთან. მერე კი თაობათა ცვლაც დაიწყო ნაკრებში, როი კინი რომ ვახსენეთ, დღეს ახეთი რობი კინია — ის არაა როივით ქარიზმატული ფიგურა, მაგრამ უდავოდ საუკეთესოა გუნდში: „ტოტენჰემის" ფორვარდი ნაკრების ყველა დროის ბომბარდირია 32 გოლით. რობი კინი 18 წლის იყო, პირველად რომ ითამაშა ნაკრების მწვანე მაისურით.

რობის გვერდიგვერდ თამაშობენ „ლივერპულის" მცველი სტივ ფინანი, მანჩესტერელი ჯონ ოში, „უიგანის" კევინ კილბეინი, „ევერტონის" ლი კარსლი. ესენი ირლანდიელთა ვეტერანებად ითვლებიან, ახალგაზრდებიდან კი ყველაზე გამორჩეული „რედინგის" მეგოლე კევინ დოილია, ვინაც 10 სანაკრებო მატჩში 4 გოლი მიითვალა. კინი-დოილი გოლხვავიანობის გარანტიაო, ამბობს ირლანდიის ნაკრების თავკაცი დონ გივენსი.

ამ კაცზე ცალკე ვთქვათ: გივენსი წლეულს სტივ სტონტონის ნაცვლად დაინიშნა ნაკრების დამრიგებლად, თუმც კელტები 2002 წელსაც ებარა ორი თვით — დროებით დანიშნეს მაკ მაკარტის მოულოდნელი გადადგომის შემდეგ. გივენსის ხელში ირლანდიელებმა ჩაფლავებული ციკლი სათავისოდ ველარ მოატრიალეს, ჩეხეთ-გერმანიას საკმაოდ ჩამორჩნენ და მესამეზე გავიდნენ.

ირლანდიელებმა ციკლის უსუსტესი თამაში კვიპროსზე ჩაატარეს, 2:5 წააგეს. სამაგიეროდ, გივენსის ხელში იყო, დანიის ნაკრებს ამხანაგურში 4:0 რომ სძლიეს.

საქართველოს ნაკრები ევრო 2004-ის შესარჩევში გადაეყარა ირლანდიას და ორივე მატჩში დამარცხდა: თბილისში ჩვენებს ალექსანდრე ჩივაძე თავკაცობდა და 1:2 დავთმეთ, სამ თვეში კი დუბლინში ივო შუშაკის გაწვრთნილებმა 0:2 წააგეს.

**ილია ნანობაშვილი**

*ირლანდია არასდროს ყოფილა ძლიერი და მდიდარი ქვეყანა. ხშირად მაძღარიც კი ვერ იყო. ზურმუხტოვანი კუნძულის შვილები ჭამდნენ სახლში კარტოფილს, სვამდნენ ბარში ლუდს და ლანძღავნდნენ დიდ და მძლავრ ინგლისს, რომელსაც მათ ჩასაყლაპად პირი მუდამ ღია ჰქონდა. მრავალი მცირე ერი თავს მყუდროდ ვერ გრძნობს დიდი მეზობლის ჩრდილში და ასეა ირლანდიაც, ვისაც დიდმა ბრიტანეთმა უძველესი მხარე ოლსტერი ჩამოაჭრა და მიითვისა. ცხადია, ინგლისის კულტურულ გავლენასაც ვერ აარიდებს თავს. ბონოც ინგლისურად მღერის თავის სიმღერებს, მაგრამ მის ხმაში ირლანდიური ჯიუტობაც ჩანს, ტკივილიც, სიამაყეც და ხალისიც და ამიტომაცაა მისი სიმღერა ვინესის ლუდივით გემრიელი. ჯიუტობაზე გაგვახსენდა: ირლანდიელები რაგბის თამაშით ქებულან, მაგრამ არანაკლებ ჯიუტმა ქართველმა მორაგბეებმა სულ ახლახანს მსოფლიოს თასზე კბილები ამტვრიეს მათ ვარსკვლავებს. ფეხბურთელებშიც რომ ასე მოინდომონ, ვინ იცის...*

**ბოტე ყორშია**



მიხალის კონსტანტინოუ

# პატარა, მაგრამ დიდთა მღადრავი

## იმათ ჰკითხონ თემურ ქეცბაიას

ქვეყანა, სადაც კარგი ფეხბურთის თამაშის შნო აქვთ თუ არა, სტადიონს პირთამდე ავსებენ. ბერძნულენოვანი კვიპროსი ათადან ბაბამდე, რაც ევრო თუ მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევში თამაშობს, გამოკვეთილ სახლის გუნდად ითვლება. სხვა ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პატარა კუნძულზე დასავლეთ გერმანიას დაუტოვებია 1968 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური.

განვლილ შესარჩევ ციკლში კი საბერძნეთის ლეგენდარული ფეხბურთელის, ანგელოს ანასტასიადისის გაწვრთნილმა კვიპროსმა შინ ირლანდიას გამოულადრა კისერი (5:2), გერმანიას კი 0:0 გაუხერხა.

და მაინც, შვიდგუნდა შესარჩევ ჯგუფში კვიპროსელები მეექვსეზე გავიდნენ, რაკილა სტუმრად თამაში არ ეხერხებათ. მხოლოდ დუბლინში გაისროლეს ირლანდიასთან და 1:1-ზე გაეყარნენ. ბედად, კვიპროსი-ირლანდია ისევ ერთ ჯგუფში, ამჯერად ქართველებთან ერთად არიან.

თემურ ქეცბაია — როდესაც კვიპროსი კენჭისყრამ მე-8 ჯგუფში მოახვედრა, მაშინვე „ქეცბა" გაგვახსენდა: კაცი, რომელიც კვიროსზეც „ანორთოსისის" ლეგენდაა, სწორედ იქ დაიწყო საზღვარგარეთული საფეხბურთო კარიერა და სწორედ იქაა ახლაც, ოღონდ მწვრთნელად და საკმაოდ კარგადაც მუშაობს.

„აქაურები ქართველებს ტალანტებით ვერ შეედრებიან, მაგრამ რად გინდა, ჩვენზე ცუდი შედეგები არ აქვთ" — რამდენჯერმე უთქვამს თემურს „სარბიელთან" ინტერვიუში.

ახლა, როცა ამ მასალას ვწერთ, ეჭვი არ გვეპარება, კვიპროსელი ჟურნალისტები ქეცბაიას არ ასვენებენ ინტერვიუებისთვის.

კუნძულელები არასოდეს ყოფილან რომელიმე დიდი ტურნირის ზღვართან, ბოლო წლებში დაახლოებით საქართველოს ნაკრების მსგავსი შედეგი აქვთ და რეიტინგშიც მეზობლები ვართ.

ანასტასიადისის ნაკრებში ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი ბერძნული „ოლიმპიაკოსის" ფორვარდი მიხალის კონსტანტინუა, ვისაც 23 სანაკრებო გოლისთვის მოუკრავს პირი. ის ადრე „პანათინაიკოსში" თამაშობდა და ამ ორივე ელინურ გრანდში ერთ-ერთი მთავარგამტანი გახლდათ.

ნაკრების კაპიტანი ვიგოს „სელტას" გამთამაშებელი იოანის ოკასია, ასევე ერთ-ერთი გამორჩეულია გერმანული „კარლ ცაისის" ნახევარმცველი კონსტანტინოს ხარალამბიდისი. ცნობისთვის, ქეცბაიას „ანორთოსისის" მცველმა ლამბროს ლამბრიუმ განვლილი შესარჩევის 12-ივე მატჩი ითამაშა.

ილია ნანობაშვილი

*ეს თბილი ქვეყანა კუნძული ძალიან ახლოსაა ისეთ ადგილებთან, სადაც ადამიანმა მიწაში პირველად ჩათესა ქერის მარცვალი და ამოწვდილ ყლორტს მიუალერსა, აბა შენ იცი, გაიზარდე და გამრავლდიო. ბოლო ასწლეულებში კი არა და, ათასწლეულებშიც, ეს კუნძული ბელადთა, მეფეთა თუ შაჰ-სულთანთა ხელიდან ხელში გადადიოდა, რადგანაც მოხერხებულ ნავსადგურს წარმოადგენდა როგორც ვაჭრებისთვის, ისე ახლოაღმოსავლურ ქვეყნებზე ხმალშემართული ევროპული არმიებისთვის. ისე კი კუნძულზე ძირითადად ბერძნები და მათი ჩამომავლები ცხოვრობენ და ინტერნეტის ეპოქაშიც სახელმწიფო ენა ბერძნული გახლავთ. ოღონდ ისევ და ისევ, გეოპოლიტიკური მდებარეობის გადამკიდე ქვეყანაში კვლავაც ვერაა ისეთი იდეალური სიტუაცია, განსხვავებით პლაჟებზე ყელმოღერებული ხუთვარსკვლავიანი სასტუმროებისგან. ქვეყნის ჩრდილოეთ სანაპირო თურქებს მიუტაცებიათ და ევროპას მის დაკანონებას სთხოვენ. ევროპა კი ასე მოიქცა: ადგა და ევროკავშირში ბერძნული კვიპროსი მიიღო, თურქებისა კი არა.*

ქოტე ყორშია

# არასასურველი მეექვსედან



მირკო ვუჩინიჩი

ერთ დროს დიდი იუგოსლავიის ერთი ბეწო ნაწილი — მთებით გარშემორტყმული ჩერნიგორია, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში ცეცხლის ალში იყო გახვეული, ყველაზე „ახალგაზრდა" ევროქვეყანაა და ფიფას წევრი სულაც რამდენიმე თვის წინ გახდა.

ეს ახლაა ჩერნიგორია (უმეტეს ევროპულ ენაზე რომ ვთქვათ, მონტენეგრო) ფიფას რეიტინგში 172-ე ადგილზე, თორემ ვის ეპარება ეჭვი, რომ ექს-იუგოსლავიის თუნდაც პატარა სახელმწიფოში ფეხბურთის თამაში იციან? მგონი, იმასაც ვერავინ უარყოფს, რომ მეექვსე კალათიდან მირკო ვუჩინიჩის ჩერნიგორია ყველაზე არასასურველი მეტოქე გახლდათ.

მირკო ვუჩინიჩს კი წარდგენა თუ სჭირდება, ინებეთ: 24 წლის ფორვარდი წლეულს „რომას" ერთ-ერთ წამყვან კაცად იქცა, ზედიზედ გააქვს გადამწყვეტი გოლები და ჩერნიგორიულ ფეხბურთში დაახლოებით იმხელა წონა აქვს, როგორიც მაგალითად, ჟორჟ ვეას ჰქონდა ლიბერიაში ან იარი ლიტმანენს ფინეთში — პატარა ჩერნიგორიას საფეხბურთო კუთხით სწორედ ვუჩინიჩი აცნობს.

ჩერნიგორიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სახელთან კი ვუჩინიჩიც ვერ მოვა: დეიან სავიჩევიჩი 90-იანი წლების ევროპის ერთ-ერთი უვარსკვლავესი კაცი გახლდათ, „მილანში" და ჯერ იუგოსლავიის, მერე კი სერბეთის ნაკრებში ბრწყინავდა.

ექს-იუგოსლაველები წლეულს გაწევრიანდნენ ფიფაში, ვთქვით და ექვსი ამხანაგური მატჩის გამართვაც მოასწრეს: ისტორიაში პირველი შეხვედრა 24 მარტს უნგრეთთან საშინაო 2:1 მოგებით აღინიშნეს, ბოლოს კი გასულ თვეში ტალინში ესტონეთს 1:0 სძლიეს. ჩერნიგორიელთა ეს სამივე გოლი ვუჩინიჩმა გაიტანა, რომელიც ნაკრების კაპიტანიცაა.

ზრდილობის გულისთვის, სხვა ჩერნიგორიელი ფეხბურთელებიც ვახსენოთ, რომელთაგან ორი ნახევარმცველის გამოყოფა შეიძლება: „მაინცის" მილორად პეკოვიჩი და თბილისის „დინამოსთვის" კარგად ნაცნობი ვენის „რაპიდის" ბრანკო ბოშკოვიჩი.

და სადაც ჩვენი „დინამო" ვთქვით, ილია სპასოევიჩი? დინამოელთა 20 წლის თავდამსხმელი და ამ სეზონში გოლის გოლზე გამტანი ხომ სწორედ ჩერნიგორიელია, ოღონდ, ჯერჯერობით ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობს.

პო, ჩერნიგორიელის ნაკრების თავკაცი, 54 წლის ზორან ფილიპოვიჩია, ვისაც „ცრვენა ზვეზდა" „ბრიუგე", „ბენფიკა" და „ბოავიშტა" გაუწვრთნია, ერთ დროს კი იუგოსლავიაში ყველაზე პერსპექტიული სპეციალისტად ითვლებოდა. ფილიპოვიჩს ფეხბურთელებისას იუგოსლავიის ნაკრებში 13-ჯერ უთამაშია და 2 გოლიც გაუტანია.

ილია ნანობაშვილი

*ზევით ბოსნია, ქვევით ალბანეთი... აქეთ კოსოვო, იქით — ღმერთმა უწყის ვინ... ზღვის იქით კი ხბორების ქვეყნის მწვანე ნაპირები ჩანს და იქამდე არცთუ ისე შორია. წითელ-მტრისფერ ბალკანურ მორევში იუგოსლავიად წოდებულ ჭრელ გემზე მცურავი ჩერნიგორიელები სულ ბოლოს გადასხდნენ საკუთარ ნავში და საკუთარი ბედის საჭის მართვაც გაბედეს. ასეთ გარემოცვაში და სადღაც მთებში შეყუჟულ ამ ერთი ციდა ქვეყანას ალბათ ისევე გაუჭირდება ძლიერ კი არა, თუნდაც ნორმალურ ქვეყნად ქცევა, როგორც ყველა მის მეზობელს უჭირს. ოღონდ ეგაა, რომ ჩერნიგორიელებმა თავიანთ ახალშობილ ქვეყანას სლავური სახელი იტალიურად მჟღერ „მონტენეგროთი" შეუცვალეს, დედაქალაქს კი ტიტოგრადის ნაცვლად პოდგორიცა დაარქვეს და ამით გააგებინეს ქვეყნიერებას, რომ უფრო კულტურულ დასავლეთ ევროპასთან სურთ ამხანაგობა.*

ქოტე ყორშია



ძველი საქართველო და ძველი იტალია: მიხეილ ყაველაშვილი და პაოლო მალდინი

# ისევ ის იტალია

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონსა და ევროპის ჩემპიონ იტალიის ნაკრებს დიდი წარდგენა არ სჭირდება. ამ უზარმაზარ ტიტულებს რომ თავი დავანებოთ, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში „სკუადრა ატურა" მეოთხედ მოხვდა ჯგუფში საქართველოს ნაკრებთან ერთად მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპებზე.

წინა სამიდან აპენინელების უპირატესობა აშკარაა, ქართველებმა მხოლოდ ერთხელ შესძლეს მათი გამწარება სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით — იტალია კინაღამ 1998 წლის მუნდიალზე წაუსვლელი დარჩა. ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც სრული უპირატესობის მიუხედავად თბილისში ბურთი ვერ გაგვიტანეს და უგოლო ფრეს გამოვრჩით. „ატურის" ამ ფრით მუნდიალზე წასასვლელად რუსეთთან დამატებითი ჯახი მოუწია — იტალიელებმა ჩრდილოელი მეზობლები მაინც დაჩაგრეს და საფრანგეთში გაემგზავრნენ.

იტალიური ფეხბურთი კარგადაა ცნობილი მსოფლიოში, როგორც თავისი „კატენაჩოთი", ასევე საუკეთესო შემსრულებლებით და მწვრთნელებით. არც მათი უზარმაზარი ლეგენდების ჩამოთვლას შევუდგებით — იტალიას გაისად ველით!

მიხეილ ჟორჟოლიანი

*იტალიელებს მართლაც ბევრით შეუძლიათ იტრაბახონ — თუნდაც რომის იმპერიით, თუნდაც რენესანსის მარგალიტებით და თუნდაც ფეხბურთში მსოფლიოს ოთხი ჩემპიონობით. ბევრ რამეში არიან ისინი ჩემპიონები. კი ბატონო — რომის იმპერიის ისტორია დაპყრობის და მონობის ისტორიაა, მაგრამ შენების, სახელმწიფოებრივი განვითარების და უდიდესი კულტურის ისტორიაც ხომაა?! მერეც, იტალიური რენესანსი ნამდვილი კულტურული ალი იყო და საერთოდ არ ჰგავდა იმ, ბნელ შუა საუკუნეებში ჭკვიანი და განსხვავებული აზრის მქონე კაცების ფეხებქვეშ შენთებულ ალს. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ეს ხომ თქვენც იცით, რომ ამ ერის წვლილი კაცობრიობის განვითარებაში მართლაც უდიდესია.*

*ფეხბურთი კი ძველი რომაული წესწყობილების გამოხატულებად მგონია და სხვისი რა მოვახსენოთ. აი, რომაული ლეგიონები რომ ჩამწკრივდებოდნენ და ტიბრის ნაპირებიდან ბრძოლა-ბრძოლით აიღლიდნენ შოტლანდიამდე, იმას ჰგავს მათი ფეხბურთი და თუნდაც კალათბურთი. მათ გაუსინჯავთ წაგების სიმწარე, მაგრამ მოგებასაც ნაჩვევნი არიან. ბევრი იციან. საუკუნეების განმავლობაში გამოცდილი ხალხი და ქვეყანაა.*

ქოტე ყორშია

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა

## ჩვენი ჯგუფი

იტალია
ბულგარეთი
ირლანდია
კვიპროსი
საქართველო
ჩერნიგორია

იტალია, ბულგარეთი, ირლანდია, კვიპროსი, ჩერნიგორია — ამ გუნდებიდან საქართველოს ნაკრებისთვის უცხო მხოლოდ ჩერნიგორიაა, და არა მარტო საქართველოსთვის — ჩერნიგორიელები ახლახან გამოეყვნენ სერბებს და საკუთარი ფედერაცია უეფაში გააწევრიანეს. დღემდე ჩერნიგორიელებს უეფას ეგიდით სულ ექვსი მატჩი აქვს ნათამაშევი.

დანარჩენ გუნდებს საქართველო რამდენჯერმე შეხვედრია: კვიპროსს მხოლოდ ამხანაგურად, ბულგარეთს ოფიციალურად და ამხანაგურად, ირლანდია-იტალიას მარტო ოფიციალურად. ერთიც, იტალია ევროპისა თუ მსოფლიოს შესარჩევ ეტაპზე მეოთხედ მოხვდა ჯგუფში ჩვენს ნაკრებთან ერთად.

ოთხივე ნაკრებთან ქართველებს ჯამში თოთხმეტჯერ უთამაშია და ყველასთან უარყოფითი ბალანსი აქვთ.

დავიწყოთ კვიპროსით, რადგან კუნძულელებთან პირველი მატჩი მესამე იყო საქართველოს ნაკრების ისტორიაში, გიგა ნორაკიძის გუნდი 1992 წელს 0:1 დამარცხდა კვიპროსთან — გოლი იოანუმ გაიტანა.

სამ წელზე ოდნავ მეტს უცდიდნენ ქართველები რევანშის აღებას და 1996 წლის გაზაფხულზე ალექსანდრე ჩივაძის გაწვრთნილმა გუნდმა თემურ ქეცბაიას და გოჩა ჯამარაულის გოლებით 2:0 დაამარცხა კვიპროსელები.

2004 წელს კი კვიპროსს გოჩა ტყებუჩავას გუნდი ეწვია და 1:3 დათმო. ხარალამპიდისის დუბლს გიორგი გაბიდაურმა უპასუხა, თუმც ელიამ ორბურთიანი სხვაობა მალევე აღადგინა.

კვიპროსელებთან თამაშებზე ცოტა ვრცლად იმიტომ ვისაუბრეთ, რომ ამხანაგური მატჩები იყო და არც ერთი საშინაო. ამიტომ შესაძლოა, გულშემატკივარს კარგად არ ახსოვდეს. დანარჩენ გუნდებთან კი ბალანსი ასეთია:

ბულგარეთი: +1=0-2 4:9
ირლანდია +0=1-2 1:4
იტალია +0=1-5 2:10

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ამხანაგური მატჩი. 22 დეკემბერი, 1992. ლიმასოლი, „ცირიო", 2.500

**კვიპროსი 1:0 საქართველო**

1:0 დ. იოანუ (42)
საქართველო: დევაძე, ჭედია, ცხადაძე (კაბისაშვილი 46), შელია, გ. ჯიშკარიანი (კაპ), ცომაია, ქეცბაია, გოგიჩაიშვილი, კაჭარავა, ყიზილაშვილი (მ. ჯიშკარიანი 72), დარასელია (ნემსაძე 66)
მწვრთნელი: გიგა ნორაკიძე

ამხანაგური მატჩი. 27 მარტი, 1996. ლიმასოლი, „ცირიო", 9.000

**კვიპროსი 0:2 საქართველო**

0:1 ქეცბაია (20), 0:2 ჯამარაული (52)
საქართველო: ზოიძე, ლუდუშაური (მაჭავარიანი 84), ცხადაძე (კაპ), შელია, კუდინოვი, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ქეცბაია, ყაველაშვილი (კ. კალაძე 72), შ. არველაძე
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 12 ოქტომბერი, 1994. სოფია, ვასილ ლევსკი", 45.000

**ბულგარეთი 2:0 საქართველო**

გოლები: 1:0 კოსტადინოვი (58), 2:0 კოსტადინოვი (63)
საქართველო: დევაძე, რევიშვილი, ცხადაძე (კაპ), შელია, ჩიხრაძე, კუდინოვი, ნემსაძე (ინალიშვილი 72), გოგიჩაიშვილი, ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე (გურული 78)
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 11 ოქტომბერი, 1995. თბილისი. ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 40.000

**საქართველო 2:1 ბულგარეთი**

1:0 შ. არველაძე (1), 2:0 ქინქლაძე (47, პენ), 2:1 სტოიჩკოვი (88)
საქართველო: ზოიძე, ლუდუშაური (ბერაძე 82), კუდინოვი, შელია (კაპ), ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული (გ. კილასონია 74), ა. არველაძე (ყაველაშვილი 46), ქინქლაძე, შ. არველაძე
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 9 ოქტომბერი, 1996. პერუჯა, „რენატოკური", 17.000

**იტალია 1:0 საქართველო**

1:0 რავანელი (42)
საქართველო: ზოიძე, ლობჟანიძე, ცხადაძე (კაპ), შელია, კუდინოვი (ინალიშვილი 46), გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, კობიაშვილი, ქეცბაია, ქინქლაძე, გოგრიჭიანი (რ. არველაძე 30)
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 10 სექტემბერი, 1997. თბილისი, ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, 60.000

**საქართველო 0:0 იტალია**

საქართველო: ტოგონიძე, შეყილაძე, ცხადაძე (კაპ), (კალაძე 20), შელია, ჩიხრაძე, კობიაშვილი, ა. არველაძე (გ. დარასელია 79), ყაველაშვილი, ქეცბაია, ქინქლაძე (გოგიჩაიშვილი 65), შ. არველაძე
მწვრთნელი: დავით ყიფიანი

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 11 ოქტომბერი, 2000. ანკონა, დელ კონერო, 26.000

**იტალია 2:0 საქართველო**

1:0 დელ პიერო (47, პენ), 2:0 დელპიერო (88, პენ).
საქართველო: გვარამაძე, სილაგაძე, კობიაშვილი, რეხვიაშვილი, ხიზანიშვილი, კალაძე, ნემსაძე (კაპ), ყაველაშვილი, ქეცბაია (მენთეშაშვილი 68), ქინქლაძე (ჯამარაული 61), ა. არველაძე (დემეტრაძე 61)
მწვრთნელები: დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 2 ივნისი, 2001. თბილისი, ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, 30.000

**საქართველო 1:2 იტალია**

0:1 დელვეკიო (45), 0:2 ტოტი (67), 1:2 გახოკიძე (80)
საქართველო: ზოიძე, სილაგაძე, აბრამიძე, რეხვიაშვილი, ხიზანიშვილი (გახოკიძე 79), კალაძე, ნემსაძე (კაპ) (შ. არველაძე 35), ყაველაშვილი, ქეცბაია, კობიაშვილი, მენთეშაშვილი (ა. არველაძე 61)
მწვრთნელები: დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი

ამხანაგური მატჩი. კვიპროსის ტურნირი. 19 თებერვალი. 2004. ნიქოზია, „მაკარიონი", 3.000

**კვიპროსი 3:1 საქართველო**

1:0, 2:0 ხარალამბიდისი (44, 55), 2:1 გაბიდაური (56), 3:1 ელია (73)
საქართველო: გვარამაძე, ქემოკლიძე, შაშიაშვილი, წერეთელი (მალრაძე 80), კვირკველია, ვ. დარასელია, ნემსაძე (კაპ) (ლ. კორღალიძე 80), გოგობერიშვილი (მელქაძე 71), გაბიდაური, ქინქლაძე, ს. იაშვილი
მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 29 მარტი, 2003. თბილის, „ლოკომოტივი", 20.000

**საქართველო 1:2 ირლანდია**

0:1 დაფი (20), 1:1 კობიაშვილი (62), 1:2 დოჰერტი (86)
საქართველო: ლომაია, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ნემსაძე (კაპ), ჯამარაული, ქეცბაია (დემეტრაძე 46), ქინქლაძე (დიდავა 72), ა. იაშვილი
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 11 ივნისი, 2003. დუბლინი, „ლენს დაუნ როუდი", 34.000

**ირლანდია 2:0 საქართველო**

1:0 დოჰერტი (42), 2:0 რობი კინი (59)
საქართველო: ლომაია, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კალაძე (კაპ), ამისულაშვილი, დიდავა (ალექსიძე 77), რეხვიაშვილი, ბურდული, ასათიანი, დემეტრაძე (ვ. დარასელია 60), შ. არველაძე
მწვრთნელი: ივო შუშაკი (ხორვატია)

ამხანაგური მატჩი. 12 ნოემბერი, 2006. სოფია, „ვასილ ლევსკი", 10.000

**ბულგარეთი 6:2 საქართველო**

1:0 იანკოვი (3), 2:0 იანკოვი (28), 3:0 ბერბატოვი (35), 4:0 ბერბატოვი (47), 5:0 ტოდოროვი (66), 5:1 ჯაკობია (86), 5:2 გოგუა (90), 6:2 ტოდოროვი (90, პენ)
საქართველო: რევიშვილი (სტურუა 69), მღავანაძე (გოგუა 46), სალუქვაძე, ხიზანიშვილი, კალაძე (კაპ), განუგრავა (კანდელაკი 67), კანკავა, მუჯირი (ა. იაშვილი 46), კობიაშვილი, შ. არველაძე (ჯაკობია 69), დემეტრაძე (აშვეთია 56)
მწვრთნელი: გაიოზ დარსაძე

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 11 ოქტომბერი, 2006. თბილისი, ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, 54.630

**საქართველო 1:3 იტალია**

0:1 დე როსი (17), 1:1 შაშიაშვილი (25), 1:2 კამორანეზი (61), 1:3 პეროტა (70)
საქართველო: ლომაია, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კალაძე (კაპ), შაშიაშვილი, კანკავა, ცქიტიშვილი (კანდელაკი 75), მენთეშაშვილი, კვირკველია, მარცვალაძე (გიგიაძე 84), აშვეთია (ა. იაშვილი 69)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი (გერმანია)

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. 13 ოქტომბერი, 2007. გენუა „ლუიჯი ფერარისი". 23.057

**იტალია 2:0 საქართველო**

1:0 პირლო (44), 2:0 გროსო (84)
საქართველო: ლომაია, სალუქვაძე, ასათიანი, ხიზანიშვილი (კაპ), შაშიაშვილი (ყენია 60), კვირკველია, მენთეშაშვილი, ცქიტიშვილი, კანკავა, მჭედლიძე (სირაძე 60), დემეტრაძე (ჯაკობია 85)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

*შესარჩევი ეტაპის ევროპის ზონაში ძველ, ნაცად სისტემას დაუბრუნდნენ. ცხრა ჯგუფის პირველადგილოსნები სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრებიან, რვა საუკეთესო მეორეადგილოსანი კი ოთხად დაწყვილდება და ევროპისთვის განკუთვნილ 13 ადგილს შეავსებს.*

# ე ვ რ ო პ ა

## 1 ჯგუფი
პორტუგალია
შვედეთი
დანია
უნგრეთი
ალბანეთი
მალტა

## 2 ჯგუფი
საბერძნეთი
ისრაელი
შვეიცარია
მოლდოვა
ლატვია
ლუქსემბურგი

## 3 ჯგუფი
ჩეხეთი
პოლონეთი
ჩრდ. ირლანდია
სლოვაკეთი
სლოვენია
სან მარინო

## 4 ჯგუფი
გერმანია
რუსეთი
ფინეთი
უელსი
აზერბაიჯანი
ლიხტენშტაინი

## 5 ჯგუფი
ესპანეთი
თურქეთი
ბელგია
ბოსნია
სომხეთი
ესტონეთი

## 6 ჯგუფი
ხორვატია
ინგლისი
უკრაინა
ბელარუსი
ყაზახეთი
ანდორა

## 7 ჯგუფი
საფრანგეთი
რუმინეთი
სერბეთი
ლიტვა
ავსტრია
ფარერები

## 9 ჯგუფი
ჰოლანდია
შოტლანდია
ნორვეგია
მაკედონია
ისლანდია

# მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა

## აზია

ხუთი აზიური ჯგუფიდან, რომლებშიც 20 გუნდია თავმოყრილი (მათ შორის ოკეანეთიდან აზიაში გადასროლილი ავსტრალია), მომდევნო ეტაპზე ორ-ორი საუკეთესო გადის.

ათი გუნდი ორ 5-გუნდა ჯგუფში გადანაწილდება და თითოეულის პირველ და მეორე ადგილოსნები მსოფლიოს ჩემპიონატზე გავლენ.

ჯგუფებში მესამე ადგილებზე გასულები ერთმანეთს ფლეი ოფში შეხვდებიან და გამარჯვებული ოკეანეთის ზონის საუკეთესო გუნდს გაეჯიბრება სამხრეთ აფრიკაში წასასვლელად.

**I ჯგუფი**
- ავსტრალია
- ჩინეთი
- ერაყი
- ყატარი

**II ჯგუფი**
- იაპონია
- ბაჰრეინი
- ომანი
- ტაილანდი

**III ჯგუფი**
- სამხრეთ კორეა
- ჩრდილოეთ კორეა
- იორდანია
- თურქმენეთი

**IV ჯგუფი**
- საუდის არაბეთი
- უზბეკეთი
- ლიბანი
- სინგაპური

**V ჯგუფი**
- ირანი
- ქუვეითი
- საამიროები
- სირია

## კონკაკაფი

**I ჯგუფი**
ბარბადოსი — დომინიკა
აშშ

**II ჯგუფი**
ტურქსი და კაიკოსი — სენტ ლუსია
გვატემალა

**III ჯგუფი**
ბერმუდა — კაიმანი
ტრინიდადი და ტობაგო

**IV ჯგუფი**
არუბა — ანტიგუა და ბარბუდა
კუბა

**V ჯგუფი**
ბელიზი — სენტ კიტსი და ნევისი
მექსიკა

**VI ჯგუფი**
ბაჰამა — ბრიტანეთის ვირჯინია
იამაიკა

ჯგუფებში გამარჯვებულები სამ 4-გუნდა ჯგუფებს შექმნიან, რომელთაგან ორ-ორი საუკეთესო მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპზე გავა.

**VII ჯგუფი**
დომინიკის რესპ. — პუერტო რიკო
ჰონდურასი

**VIII ჯგუფი**
კანადა— სენტ ვინსენტი და
გრენადინი

**IX ჯგუფი**
აშშ-ის ვირჯინია — გრენადა
კოსტა რიკა

**X ჯგუფი**
სურინამი — მონსერატი
გაიანა

**XI ჯგუფი**
სალვადორი — ანგუილა
პანამა

**XII ჯგუფი**
ნიკარაგუა — ჰოლანდიის ანტილები
ჰაიტი

ეს 6 გუნდი ერთ ჯგუფს შექმნის და სამი საუკეთესო მუნდიალზე ითამაშებს, მეოთხეადგილოსანი კი პლეი ოფში სამხრეთ ამერიკის ზონაში მეხუთე ადგილზე გასულს ეთამაშება.




## აფრიკა

**I ჯგუფი**
- კამერუნი
- კაბო ვერდე
- ტანზანია
- მავრიკეთი

**II ჯგუფი**
- გვინეა
- ზიმბაბვე
- ნამიბია
- კენია

**III ჯგუფი**
- ანგოლა
- ბენინი
- უგანდა
- ნიგერი

**IV ჯგუფი**
- ნიგერია
- სამხრეთ აფრიკა
- ეკვატორული გვინეა
- სიერა ლეონე

**V ჯგუფი**
- განა
- ლიბია
- გაბონი
- ლესოტო

**VI ჯგუფი**
- სენეგალი
- ალჟირი
- ლიბერია
- გამბია

**VII ჯგუფი**
- კოტ დივუარი
- მოზამბიკი
- ბოტსვანა
- მადაგასკარი

**VIII ჯგუფი**
- მაროკო
- ეთიოპია
- რუანდა
- მავრიტანია

**IX ჯგუფი**
- ტუნისი
- ბურკინა ფასო
- ბურუნდი
- სეიშელი

**X ჯგუფი**
- მალი
- კონგო
- სუდანი
- ჩადი

**XI ჯგუფი**
- ტოგო
- ზამბია
- ერითრეა
- სვაზილენდი

**XII ჯგუფი**
- ეგვიპტე
- კონგოს დრ
- მალავი
- ჯიბუტი

48 გუნდი 12 ჯგუფში განაწილდა. ჯგუფებში მატჩები ორ წრედ ჩატარდება. 12 პირველადგილოსანი და 8 საუკეთესო მეორეადგილოსანი გუნდი (სულ 20) მომდევნო ეტაპზე გადიან.

იქ გუნდები ხუთ 4-გუნდა ჯგუფს შექმნიან, რომელთა გამარჯვებულებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ.

და ერთიც: მეოთხე აფრიკულ ჯგუფში სამხრეთ აფრიკა მოხვდა. არადა, ეს ქვეყანა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელია და მოგეხსენებათ, მუნდიალზე თამაშის უფლება ყოველგვარი კვალიფიკაციის გარეშე აქვს.

საქმე ის არის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ამავდროულად აფრიკის ეროვნებათა თასის შესარჩევ ეტაპსაც წარმოადგენს, რომელიც ანგოლაში ჩატარდება. ანუ, სამხრეთ აფრიკამ თავის ჯგუფში ბოლო ადგილიც რომ დაიკავოს, მუნდიალზე მაინც ითამაშებს, მაგრამ აფრიკის თასზე მოხვედრა თუ სურს, პირველ ან მეორე ადგილზე უნდა გავიდეს.

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა — I წრე. 12 ტური


დავით გვარამაძეს პენალტის მოგერიებაში ცოტა დააკლდა

თბილისი. 24 ნოემბერი. 14 საათი. ლოკომოტივი. 100 მაყურებელი

### ლოკომოტივი 1:2 დინამო

0:1 მერებაშვილი (6, პენ.), 1:1 გუშარაშვილი (22), 1:2 მერებაშვილი (81)

ლოკომოტივი: გვარამაძე, ფოფხაძე, გუშარაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, ხოხონაშვილი, მალიჩავა (დ. ჩაგელიშვილი 88), ბარბაქაძე, გულორდავა, ძლენტი (ბუდალაშვილი 68), სამხარაძე, იმედაძე (მიქაძე 66)
სათადარიგონი: მიგინეიშვილი; კვახაძე, ლალაძე, კობიაშვილი
მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, გ. კაშია, დილმელაშვილი, ხმალაძე, ხუციშვილი (კობახიძე 57), მერებაშვილი, სპასოევიჩი (ოდიკაძე 76), აკირემი (ვაწაძე 90)
სათადარიგონი: ლორია; თომაშვილი, ფეიქრიშვილი, ფირცხალავა
მწვრთნელი: დუშან უჰრინი

გაფრთხილება: ოვონო, სპასოევიჩი, სამხარაძე, კრშკო, გუშარაშვილი, ხოხონიშვილი, ვაწაძე

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. მენთეშაშვილი, შ. ქუხილავა; ლ. ფანიაშვილი

# უჰრინმა შეუშვა, გადააწყო და მოიგო

ვაჟა ხუციშვილი

**კობახიძისა** და ოდიკაძის შესვლამ „დინამოს" ფლანგურ შეტევებს სიმწვავე შეჰმატა და სტუმრებმა ამის ხარჯზე იმარჯვეს. დუშან უჰრინმა მეორე ტაიმის დაწყებიდან 12 წუთი აცალა გუნდს და რომ შეატყო, ცვლილებებია საჭიროო, ხუციშვილის მაგივრად კობახიძე შეუშვა, რომელმაც მარცხნივ მერებაშვილის ადგილი დაიკავა, მერებაშვილმა კი ცენტრში შეიწია აკირემის უკან.

ამის შემდეგ „დინამოს" ორი საგოლე მომენტი შეექმნა. აკირემი ორ მცველს გაექცა და საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა — ბურთმა ძელს გადაუფრინა. სპასოევიჩმა ლამის კარის ხაზიდან მაკრატელა შეასრულა და ააცილა.

„დინამოს" ერთი ცვლილება არ ეყო და მწვრთნელმა მეორეც მიაყოლა — მარჯვენა ფლანგზე სპასოევიჩს ოდიკაძე ჩაენაცვლა და „ლოკომოტივის" დაცვას უფრო დიდი ჯაფა დაადგა.

თავის მხრივ, მასპინძლებს კონტრშეტევების მეტი საშუალება მიეცათ, მაგრამ ბოლო მომენტში სიზუსტე აკლდათ.

„დინამოს" ორ ცვლილებას შორის გუშარაშვილს შეეძლო გატანა — კუთხურის შემდეგ ოვონომ ბურთი მის წინ მოიგერია და „ლოკოს" მცველმა ორი მეტრიდან მეკარეს გაარტყა.

ამ ეპიზოდიდან რვა წუთში გიორგი მერებაშვილმა შანსი გამოიყენა — საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი „ლოკოს" მცველმა თავით გამოიტანა, მაგრამ ოდიკაძემ ისევ უკან შეაბრუნა და მერებაშვილმა დაახლოებით შვიდი მეტრიდან შეაგდო.

ეს მეორე ტაიმში მოხდა, თითო გოლი კი მეტოქეებმა შესვენებამდე გაცვალეს. სპასოევიჩის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი მერებაშვილმა გამოიყენა, ხოლო გუშარაშვილმა თავით გაუტანა ოვონოს.

დუბლის შემსრულებელ დინამოელ ფორვარდს პირველ ნახევარში ორი კარგი მომენტიც ჰქონდა — მესამე წუთზე გვარამაძესთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ მცველმა ააცალა ბურთი, ხოლო ტაიმის მიწურულს მეკარემ მახვილი კუთხიდან დარტყმული აულო.


დინამოელთა გამარჯვების გოლი

# მგლები ილუზიით არ იკვებებიან

სოსო გულუა ზუგდიდიდან

ზუგდიდი. 24 ნოემბერი. 14 საათი. გ. თუთბერიძე. 2 600 მაყურებელი

### მგლები 0:3 ვიტ ჯორჯია

0:1 გელაშვილი (9), 0:2 მელქაძე (19), 0:3 გელაშვილი (58)

მგლები: ივარდავა, ექონია, ფარულავა, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ქირია, ვართაგავა (კუტალია 46), ჯოჯუა, კრასოვსკი (გაბედავა 70), ხუბუა (წურწუმია 46), ჭედია
სათადარიგონი: ლაპარტია, ბაკარანძე, ხუხია, ჭითანავა
მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, კვახაძე (ბეჭვაია 62), ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე (ინჯგია 80), გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, მელქაძე, გელაშვილი, სახოკია (ლუჭაშვილი 72)
სათადარიგონი: მიქაბერიძე, კაიშაური, ლიპარტია, ბერიაშვილი
მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

გაფრთხილება: კუტალია (69), ჭედია (84), რაზმაძე (79)

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ზ. ჯვარიძე, ი. უკლება; ჯ. ბუიშვილი

**ამ** შეხვედრას ორივე გუნდისთვის პრიციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მოგების შემთხვევაში „მგლები" მჭიდროდ უახლოვდებოდნენ ლიდერებს, „ვიტ ჯორჯია" კი იმტკიცებდა პოზიციას მათ შორის.

ვიტელების სასახელოდ ვთქვათ, რომ მათ ბრწყინვალედ ხომ გაართვეს თავი ამოცანას და ამასთანავე, ნამდვილი ფეხბურთიც აჩვენეს ზუგდიდელ მაყურებელს.

სტუმრებმა დასაწყისშივე მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს. ისინი გრძელი გადაცემებით სწრაფად გადადიოდნენ მასპინძელთა ნახევარზე და იერიში იერიშზე მიჰქონდათ ზუგდიდელთა კარზე.

„მგლებმა" კი ვერააწყვეს თამაში. მასპინძელთა პასები უფრო ბურთის თავიდან მოშორებას ჰგავდა. დაცვა არაორგანიზებულად მოქმედებდა და სწორედ ამით ისარგებლა ნიკოლოზ გელაშვილმა: ზუგდიდელი მცველის ფეხზე აჭრილი ბურთი სულ ახლო მანძილიდან კარში შეაგორა.

ვიტელებმა მეტოქეს გონს მოსვლა არ აცალეს და კვლავ თავბრუდამხვევი ტემპით განაგრძეს თამაში. ურტყამდნენ ნებისმიერი პოზიციიდან. მართალია, ეს დარტყმები ხშირ შემთხვევაში ცდებოდა კარს ან მცველებისა და მეკარის ნადავლი ხდებოდა, მაგრამ ერთმა მათგანმა მაინც მიაღწია მიზანს. მე-19 წუთზე მელქაძემ 20-22 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით ძალზე ლამაზი გოლი გაიტანა.

ამან „მგლები" თითქოს გამოაცოცხლა და მათ ზედიზედ რამდენიმე იერიში განახორციელეს. ჭედიას დარტყმული ბედიაშვილმა ცოტა უხერხულად მოიგერია, კრასოვსკიმ მოუსწრო, მაგრამ მისი ძლიერი დარტყმა მცველმა ცარიელი კარიდან გამოიტანა.

ამის შემდეგ თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ორივე გუნდი უტევდა, მაგრამ მოედანს უფრო ვიტელები აკონტროლებდნენ. ასე გავიდნენ გუნდები შესვენებაზე.

მეორე ნახევრის დასაწყისში „მგლების" რიგებში ორი ცვლილება განხორციელდა. გამოჩნდნენ წურწუმია და კუტალია, რომლებმაც გამოაცოცხლეს კიდეც მასპინძელთა თამაში. იერიშები ახლა უფრო ფლანგებიდან მიჰქონდათ და შექმნეს კიდეც სტუმართა კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, ერთი გუნდი უტევს, მეორეს კი გააქვს. 58-ე წუთზე მასპინძელთა მცველებმა ისევ ვერ გაუგეს ერთმანეთს. გელაშვილმა კი დუბლი გაიფორმა.

მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყდა. ამის შემდეგ ზუგდიდელები ბევრს ცდილობდნენ ერთი, თუნდაც პრესტიჟის გოლის გატანას, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. „ვიტ ჯორჯიამ" აქტივში დიდი ანგარიშით გამარჯვება ჩაიწერა.

## პრესკონფერენცია

*ნესტორ მუმლაძე:* ბიჭებმა დავალება კარგად შეასრულეს, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდი. რაც შეეხება „მგლებს" მათ დღეს არ გაუმართლათ, მაგრამ ისინი დებიუტანტები არიან და საკეთებელი ჯერ წინ აქვთ.

*ბესიკ შეროზია:* ილუზიებით არ ვიკვებებით. ვიცოდით, ძნელი მატჩი გველოდა. დღეს ქართული ფეხბურთის მასშტაბით „ვიტ ჯორჯია" ერთ-ერთი საუკეთესოა და მან ეს ლიდერებთან შეხვედრებშიც დაამტკიცა. გვაჯობეს და ვულოცავთ მათ დამსახურებულ გამარჯვებას. ჩვენ კი წინ დიდი სამუშაო გველის და ამ წაგებისგან ტრაგედიის შექმნას ნამდვილად არ ვაპირებთ.


ნიკა გელაშვილმა ზუგდიდელებს ორი გოლი გაუტანა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 11 | 10 | 1 | 0 | 24:3 | 31 |
| დინამო | 11 | 10 | 0 | 1 | 28:4 | 30 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 8 | 1 | 2 | 19:8 | 25 |
| ამერი | 11 | 7 | 0 | 4 | 20:11 | 21 |
| ბორჯომი | 11 | 6 | 3 | 2 | 13:6 | 21 |
| ოლიმპი | 11 | 6 | 2 | 3 | 11:8 | 20 |
| მესხეთი | 11 | 5 | 2 | 4 | 13:13 | 17 |
| მგლები | 11 | 5 | 0 | 6 | 10:12 | 15 |
| სიონი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:15 | 11 |
| ლოკომოტივი | 11 | 3 | 0 | 8 | 8:18 | 9 |
| სპარტაკი | 11 | 2 | 3 | 6 | 3:12 | 9 |
| მერანი | 11 | 2 | 0 | 9 | 5:22 | 6 |
| დილა | 11 | 1 | 3 | 7 | 7:18 | 6 |
| ბათუმი | 11 | 0 | 1 | 10 | 3:26 | 1 |

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
პირველი ლიგა — 15 ტური

### აღმოსავლეთი

კახეთი 5:3 ნ. დინამო-მერანი 2
ოლიმპიკი — გაგრა გადაიდო
ჩიხურა 3:2 ვიტ ჯორჯია 2
დინამო 2 1:0 მეშაძრე
ოლიმპი 2 2:1 ამერი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 13 | 8 | 4 | 1 | 28:20 | 28 |
| მემაქრე | 14 | 8 | 2 | 4 | 24:16 | 26 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 14 | 7 | 4 | 3 | 23:12 | 25 |
| დინამო 2 | 14 | 7 | 4 | 3 | 22:13 | 25 |
| ჩიხურა | 14 | 7 | 3 | 4 | 27:21 | 24 |
| ოლიმპი 2 | 14 | 5 | 3 | 6 | 17:15 | 18 |
| ამერი 2 | 14 | 5 | 2 | 7 | 24:26 | 17 |
| კახეთი | 14 | 4 | 3 | 7 | 20:24 | 15 |
| ოლიმპიკი | 13 | 3 | 3 | 7 | 16:22 | 12 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 14 | 0 | 2 | 12 | 13:40 | 2 |

### დასავლეთი

უნივერსიტეტი 1:3 მაღაროელი
კოლხეთი 1:0 მეშახტე
სამტრედია 1:2 ტორპედო
ზესტაფონი 2 1:0 ხობი
მარტვილი 4:0 ფაზისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 14 | 12 | 2 | 0 | 33:9 | 38 |
| მარტვილი | 14 | 8 | 3 | 3 | 20:10 | 27 |
| მეშახტე | 14 | 8 | 0 | 6 | 25:24 | 24 |
| ტორპედო | 13 | 7 | 3 | 3 | 24:15 | 24 |
| ზესტაფონი 2 | 12 | 6 | 2 | 4 | 19:10 | 20 |
| კოლხეთი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:17 | 16 |
| უნივერსიტეტი | 14 | 4 | 2 | 8 | 11:16 | 14 |
| ხობი | 13 | 3 | 4 | 6 | 14:20 | 13 |
| ფაზისი | 13 | 2 | 2 | 9 | 16:32 | 8 |
| სამტრედია | 14 | 1 | 2 | 11 | 11:35 | 5 |

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — I წრე. 12 ტური




# გაიტანე და დაისვენე

## რა ამბავია ამდენი გაფუჭება

ახალციხე. 24 ნოემბერი. 14 საათი. მ. იაძე. 500 მაყურებელი

### მესხეთი 1:2 ამერი

0:1 ბოლქვაძე (17), 0:2 დავითნიძე (20), 1:2 სუდაძე (51)

| მესხეთი | ამერი |
|---|---|
| მესხეთი: სომხიშვილი, ლეკიშვილი, ჟვანია, გ. ნადირაშვილი, ვ. აკოფიანი (შ. აკოფიანი 79), თურმანიძე (სუდაძე 46), ზ. ჩხეტიანი, ძამსაშვილი (ინასარიძე 29), გვირჯიშვილი, კაიდარაშვილი, თაყაძე სათადარიგონი: ძამუნაშვილი; კველიშვილი, აფრიამაშვილი, მეტრეველი | ამერი: ქვაჩახია, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დოლიძე (ა. ალავიძე 78), დობროვოლსკი, დიდავა, ბოლქვაძე (ჯელაძე 60), დეკანოსიძე, გოცირიძე (ტატანაშვილი 67) სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი; ცხადაძე, კობაური, მესხი |
| მწვრთნელი: კობა თედიაშვილი | მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |

გაფრთხილება: ჩხეტიანი (83), გოცირიძე (67), კაკაშვილი (70), დობროვოლსკი (71), ტატანაშვილი (85)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია; მ. ელიკაშვილი, ლ. თოდრია; ო. ხეცაძე

**კობა ინასარიძე ახალციხიდან**

**თითქმის** ერთთვიანი შესვენების შემდეგ „მესხეთმა" და „ამერმა" ჩემპიონატი ახალციხეში განაახლეს და სწორედ ეს მატჩი ითვლებოდა ტურში ცენტრალურად. ამხელა დასვენება რატომაც გამოვიდა, კარგად გეცოდინებათ, მეტოქეებმა კი ფორმის შენარჩუნება ამხანაგური მატჩებით სცადეს და ამის მერე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ახალციხეში სათამაშო მოედანი არვარგა, თორემ სტადიონის მდებარეობა ისეთია, კაცმა რომ მოინდომოს, სერიოზულ არენას გააშენებს. თუმცა; აბა, ეს რა „მესხეთი" — „ამერის" მატჩთან მოსატანი საქმეა, თამაშზე ვთქვათ და იმ მუხტზე, რაც რელიეფზე კოხტად მორგებულ ერთ ტრიბუნაზე იყო...

შეხვედრა მასპინძელთა აგრესიული თამაშით დაიწყო და 10-15 წუთი ასევე გაგრძელდა. სტუმრები ბურთის გაკონტროლებას ცდილობდნენ, მაგრამ ოღრო-ჩოღრო და ატალახებულ მოედანზე ეს არცთუ კარგად გამოსდიოდათ. მესხები ბურთს მალევე იბრუნებდნენ და მეტწილად მარჯვნიდან უტევდნენ. ერთხელ მიხეილ თაყაძემ კარგად მოიგდო ბურთი და სახიფათოდ დაემუქრა ზურაბ ქვაჩახიას კარს, თუმცა არაფერი გამოუვიდა. რამდენიმე წუთში თბილისელებმა საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს დაკარგეს ბურთი, „მესხეთს" მაშინაც შეეძლო გატანა, მაგრამ ბოლო მომენტში მცველებმა იყოჩაღეს.

საწყისი ამბების შემდეგ „ყვითლებმა", როგორც იქნა, ბურთი ზუსტად გააგორეს და მალევე დაწინაურდნენ — დავით ბოლქვაძემ საჯარიმოს გარედან დაურტყა გიორგი სომხიშვილს, სახიფათო თითქოს არც არაფერი იყო, მაგრამ გზად ბურთი ზურგზე მცველს მოხვდა და მარჯვენა კუთხისკენ გადამხტარი მეკარე უსაქმოდ დარჩა, ბურთი საპირისპირო კუთხეში შეგორდა. ორიოდ წუთში კი „ყვითლებმა" ანგარიშში უპირატესობა გიორგი დავითნიძის გოლით გაზარდეს — სტუმართა კაპიტანმა ასევე შორიდან, მართლაც ლამაზი გოლი გაიტანა და ბურთი ცხრიანში ჩასვა, მეკარეს მოგერიების შანსი არ დაუტოვა.

გოლების შემდეგ თამაში, ცოტა არ იყოს, აირია, „მესხეთი" ფსიქოლოგიურად გატეხილი ჩანდა. ორბურთიანი სხვაობით დაწინაურებული „ამერი" მაინცდამაინც აღარ უტევდა.

მერე მასპინძელთა მწვრთნელმა კობა თედიაშვილმა საქმეში დავით ინასარიძე ჩართო და გუნდის შუა ხაზიც მეტ-ნაკლებად დალაგდა. მასპინძელთა ნახევარმცველმა რამდენჯერმე გაამწვავა თამაში. მერე კი კაიდარაშვილთან ორთაბრძოლისას არბიტრმა ზედ საჯარიმოს ხაზზე სტუმართა მცველი დააჯარიმა, თავისუფალი დარტყმა დანიშნა. ამ საქმეს ხეირი არ მოჰყოლია. დაგორებულზე იმავ კაიდარაშვილის დარტყმული კედელს მოხვდა.

ტაიმის ბოლოსკენ უკვე გოგა ჟვანია იყო მიზანთან ახლოს, მან თავური დაარტყა, მაგრამ სტუმართა ბედად, ბურთი ძელს მოხვდა...

შესვენებაზე თედიაშვილმა გიორგი თურმანიძე მარცხნიდან შემტევი გელა სუდაძით შეცვალა. რამდენიმე წუთში. კი შეცვლაზე შესულმა სხვაობა შეამცირა — „ამერმა" მოედნის შუაში მარტივ სიტუაციაში დაკარგა ბურთი, რითაც თაყაძემ ისარგებლა და ჩინებული პასი მისცა სუდაძეს: ის მარცხნიდან მიუახლოვდა კარს, დაარტყა და გაიტანა. ქვაჩახიას თავისიანების გადარჩენა შეეძლო, მაგრამ უხარისხო მოედანზე ბურთი ვერ მოიგერია.

გოლით და ქომაგობით შეგულიანებულმა მასპინძლებმა ტემპს უმატეს, უფრო აგრესიულად ათამაშდნენ, მაგრამ არც „ამერს" დაუხევია უკან, პირიქით, ზევით აიწიეს და შეტევის წამოწყების მცდელობას მოედნის ცენტრთან ახლოვე ახშობდნენ. დროის ამ მონაკვეთში „მესხეთი" ერთი-ორჯერ მაინც დაემუქრა მეტოქეს, მაგრამ რეალური საგოლე ვარიანტი არ ჰქონია. ტრიბუნაც ახმაურდა, თავისიანებს ამხნევებდნენ და მსაჯების ყველა გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ. საპირისპიროდ კი, „ამერის" შემტევებმა თავისუფალი ზონები მიიღეს და ლამის ყოველ წუთს გოლის გატანის ჩინებული შანსი ეძლეოდათ. ბოლო 15 წუთში „ყვითლებს" იმდენი მომენტი ჰქონდათ, ბარე ორი-სამი მატჩისთვის იკმარებდა. არც გივი დიდავას, არც გიორგი დეკანოსიძეს, არც გიზო ჯელაძეს, არც დიმიტრი ტატანაშვილსა და არჩილ ალავიძეს არაფერი გამოუვიდათ, სომხიშვილიც კარგად თამაშობდა... „ამერს" ბევრი შანსიდან ერთიც რომ გამოეყენებინა, საქმე სათუოდ აღარ ექნებოდა. „ყვითლებმა" კი ბოლო წუთებზე ინერვიულეს, როცა „მესხეთმა" უკანმოუხედავად შეუტია...

როგორც იყო, სტუმრებმა ლოგიკურად გაიმარჯვეს და, სატურნირო თუ ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი სამი ქულა შეიმატეს.

სხვათა შორის, ახალციხეში „ამერმა" ზედიზედ მეექვსე გასვლითი მატჩი ჩაატარა. ხოლო „მესხეთს" წინა, საშინაო შეხვედრაც 2:1 მოუგო.

# მერლანმა მერანს მელანი გადაუსვა

რუსთავი. 24 ნოემბერი. 14 საათი. ფოლადი. 200 მაყურებელი

### ოლიმპი 2:0 მერანი

1:0 დევდარიანი (6), 2:0 კახელიშვილი (53)

| ოლიმპი | მერანი |
|---|---|
| ოლიმპი: მერლანი, ორბელაძე, მახვილაძე, აკუასაგა, კახელიშვილი, სილაგაძე, ნავალოვსკი (კოშკაძე 81), დევდარიანი (ტივკოვიჩი 85), გუნაძე, დვალიშვილი (ქებაძე 69), რ. ჯიქია სათადარიგონი: ალავიძე; გ. იაშვილი, მახუაშა, მგელაძე | მერანი: თევდორაძე, ლოლაძე, გიგაური, თ. კობიაშვილი, სარალიძე, ჯანგიძე, კობერიძე (ი. შენგელია 63), იაგო დეისაძე (ბ. ღლენტი 46), გოჩაშვილი, ფურთუხია (ქემაშვილი 83), ლომაშვილი სათადარიგონი: სეფიაშვილი; ლ. გრიგალაშვილი, იაკობ დეისაძე |
| მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი | მწვრთნელი: დავით ეჯიბიშვილი |

გაფრთხილება: ტუასაგა (48), ჯიქია (60), ლოლაძე (82), თევდორაძე (88)

მსაჯები: მ. ბეჟქლიშვილი; კ. გაბრიაძე, ა. კოკაია; ი. ურუშაძე

**ილია ნანობაშვილი რუსთავიდან**

**გამართლება** თუ კლასი? ალბათ, ორივე — ამ ორივეთი მოუგო ჩემპიონმა „ოლიმპმა" ბოლოსწინაადგილოსან „მერანს", რომელმაც აუარება საგოლე მომენტები შექმნა „ფოლადზე", მაგრამ გოლს ვერ ეღირსა. გუშინდელი თამაშით თუ ვიმსჯელებთ, დავით ეჯიბაშვილის გუნდი დროებითაა გასავარდნ ზონაში.

ოღონდაც, თავიდან მასპინძელთა გოლი იყო. მე-6 წუთზე რუსთაველებმა დავით დევადრიანმა და რევაზ ჯიქიამ თითქმის ცენტრიდან დაიწყეს კომბინაცია, „მერანის" საჯარიმომდე პას-პას იარეს და საბოლოოდ დევდარიანმა ითავა დარტყმა, რომელიც ლამაზი და ზუსტი გამოდგა — 1:0.

„მერანმა" კი კარგგუნდობა ამასწინანდელ ამხანაგურ მატჩებშიც გამოაჩინა, როცა მიჯრით ორი ფრე გაჩარხა „ამერთან", მაგრამ რუსთავის სარბიელზე თუ მასპინძლივით მოიქცეოდა, ნაღდად არ გვეგონა: დევდარიანის გოლიდან ტაიმის ბოლომდე თბილისელებს ჰქონდათ უპირატესობა და ორი უნაღდესი შანსიც მიეცათ — ჯერ იაგო დეისაძის დარტყმული კარის ხაზიდან გამოიტანა მიხეილ მახვილაძემ, მერე კი ვაჟა ლომაშვილმა ერთი პასით ოლიმპელთა მთელი დაცვა დააბნია, მიხეილ კობერიძემ მირზა მერლანს დაასწრო, დარტყმა კი აშკარად იჩქარა: მახვილი კუთხიდან ოდნავ ააცილა.

შესვენების შემდეგ მთლად ცენტრუნახავი ორკარა გაჩაღდა, აქეთიქით შეტევებს ვერც ტალახიანმა მინდორმა შეუშალა ხელი. ჯერ ჯიქიამ გეწაძის პასის შემდეგ კარგად დაამუშავა ბურთი, მერანელთა მეკარე რევაზ თევდორაძეს გასცდა და ლადო დვალიშვილს გადააწოდა, ვინც ხუთიოდ მეტრიდან ცარიელ კარს ააცილა. წუთში სტუმარმა ბექა ღლენტმა ულამაზესი დარტყმით ოდნავ ააცილა, რასაც ისევ „ოლიმპის" შეტევა და მეორე გოლი მოჰყვა — კარგი კომბინაცია იყო, „მერანის" დაცვა ხელოვნური თამაშგარის შექმნას ცდილობდა და ნაღდად საეჭვო იყო, გიორგი კახელიშვილმა ცხრიანში რომ გაიტანა, ოფსაიდში იყო თუ არა. ფაქტია, გოლი ჩაითვალა და 2:0.

ამის შემდეგ კი „ოლიმპის" მეკარის მირზა მერლინის დრო დადგა, რაც მან ბურთები მოიგერია, მართლაც, ყოჩაღ — ვლადიმერ გოჩაშვილს ჯერ თავური გამოუძრო მაღალი კუთხიდან, მერე ფეხით დარტყმული აუღო ხუთიოდ მეტრიდან, ყველაზე თვალსასეირო ნახტომი კი ღლენტის სამიოდ მეტრიდან გასროლილი თავურის შემდეგ გაჭიმა. სამივე ისეთი მომენტი იყო, ასპროცენტიანი რომ ეთქმის.

აკი თქვა კიდეც ნამატჩევს „მერანის" თავკაცმა დავით ეჯიბიშვილმა, ჩვენი დღე არ იყოო. ფეხბურთში კი ბედი რომ გაგწირავს და ათი გასატანიდან ერთხელაც არ გაგახარებს...

მეორე მხრივ კი, არც ის გაგვიკვირდებოდა, „ოლიმპს" უფრო სოლიდური ანგარიშით რომ მოეგო, რაკილა თევდორაძემ დვალიშვილი და ჯიქია პირისპირ გასვლისას გაამწარა. მოკლედ, კარგი თამაში გამოვიდა, მით უმეტეს, ატალახებული მინდვრის კვალობაზე.

**პრესკონფერენცია**

*დავით ეჯიბიშვილი:* სულ ცოტა, ექვსი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. „ოლიმპის" მეკარე ბრწყინვალედ თამაშობდა. ისე, „მერანი" აშკარად პროგრესირებს და იმედი მაქვს, ქულების დაგროვებასაც დავიწყებთ.

*ანატოლი პისკოვეცი:* „მერანი" ჩვენთვის უხერხული მეტოქეა, მესამედ შევხვდით და პირველად მოვუგეთ. უპირატესობა შეგნებულად დავთმეთ და კონტრშეტევაზე ვითამაშეთ, რაც ჩემს ბიჭებს კარგად შეუძლიათ. ალბათ, გამოუცდელობის ბრალია, რომ 2:0-ზე ვერ დავმშვიდდით და მეტოქეს საგოლე მომენტების შექმნის საშუალება მივეცით. წლეულს დარჩენილ ორ საჩემპიონატო მატჩში ქულათა მაქსიმუმი უნდა ავიღოთ, ამასთან, ყველას გეპატიჟებით გორში, სადაც სუპერთასი გველის „ამერთან". რაც შეეხება ლსთ-ის თასისთვის მზადებას, შეკრებას ან უკრაინაში, ანაც თურქეთში გავივლით.

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 12 ტური

ბოლნისი. 24 ნოემბერი. 14 საათი. თ. სტეფანია. 300 მაყურებელი

## სიონი 0:1 ბორჯომი

0:1 ნერგაძე (16)

**სიონი:** სტურუა, სვანიძე, რაქვიაშვილი (ქუთათელაძე 27), ქურასბედიანი (ვაშაკიძე 52), ფრიდოლინი, ოქროპირიძე, სანიკიძე, ბაჯელიძე, ქუცურუა (ქარდავა 73), ნადირაძე, ჩასემი
სათადარიგონი: იაშვილი; გაგუა, კვიტაიშვილი, მენთეშაშვილი
**მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე

**ბორჯომი:** შეყრილაძე, თ. ლონლაძე, ლ. ჭელიძე, ლ. მერებაშვილი, აკობია, ყველაშვილი, ქარქუზაშვილი, ნერგაძე, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, შ. ჯიქია
სათადარიგონი: გლუნჩაძე; გოგიჩაიშვილი, თედიაშვილი
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**გაფრთხილება:** ჭელიძე (13), გრიგალაშვილი (26), ქურასბედიანი (35), ჯიქია (54), შეყრილაძე (63), ყველაშვილი (78), ქარდავა (90)

**გაძევება:** ბაბუნაშვილი (90)

**მსაჯები:** მ. ურუშაძე; გ. ჩიგოგიძე, ზ. ფიფია; გ. კიკაჩეიშვილი

# ვაა, თოვლი?!

## ეს რა ნახეს ჩასემმა და ფრიდოლინიმ

## ბორჯომმა რეზერვი რეზერვში შეინახა



„ბორჯომმა“ ბოლნისში გიორგი ნერგაძის გოლით იხეირა

**მიხეილ ქორქოლიანი ბოლნისიდან**

**ინდემარ** სტენმარკი, გუნდე სვანი, ჰერმან მაიერი — წარსულში ცნობილი მოთხილამურეები შაბათს ბოლნისში ყოფნაზე უარს არ იტყოდნენ. ქვემო ქართლში გვარიანად მოვთოვა და მასპინძლებს მატჩის დაწყებამდე ორჯერ მოუხდათ მოედნის თოვლისგან გაწმენდა. ყვავაზე გაკვირვებულნი კი ბოლნისელთა ნიგერიელები, ერიკ რომეო ჩასემი და ბოიომო ფრიდოლინი იყვნენ — მათ თოვლში პირველად ითამაშეს.

მატჩამდე მივხვდით, რომ ფეხბურთის ვერ ვნახავდით. მოთელვისას მოთამაშეთა წუწუნი ტრიბუნებზეც ისმოდა, ასეთ ამინდში მოედანზე თამაში არ შეიძლებაო, თუმც მამუკა ურუშაძემ დაწყებისა თავის დროზე ჩასტვინა და მატჩიც შედგა.

თამაში კი არა, გლადიატორთა ბრძოლა გამოდგა — ფეხბურთელებს ყოველ მეტრში უხდებოდათ ბურთისთვის ბრძოლა და ჯაჯგური. აშკარა იყო, თამაშს ის მოიგებდა, ვინც ფიზიკურად გაუძლებდა. წესით, ეს „სიონი“ უნდა ყოფილიყო, რადგან სტუმართა გუნდის მოკლე სათადარიგოთა სკამი თავიდანვე თვალში მოგვხვდა, თუმც ბორჯომელთა მწვრთნელ გოგა ხაჩიძეს რეზერვისტთა საქმეში ჩართვა არც უცდია. კურორტელებმა სასტარტო შემადგენლობით გაუძლეს მასპინძლებს და მოუგეს კიდეც.

თამაში თანაბარ ბრძოლაში დაიწყო, ბურთი, ძირითადად, მოედნის ცენტრში ტრიალებდა, რადგან სველ მინდორზე მოძრაობა უჭირდა და წამდაუწუმ ჩერდებოდა. მისი საჯარიმომდე ჩატანა დიდ ძალას და ენერგიას მოითხოვდა.

საჯარიმოს სიახლოვეს ბურთი პირველად მე-13 წუთზე გამოჩნდა და ხიფათიც შეიქმნა — გივი ქარქუზაშვილმა მარჯვენა ფლანგიდან კარის გასწვრივ ჩააწოდა, თუმც გზად დავით სვანიძეს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და „სიონი“ ხარიხამ გადაარჩინა. ბორჯომელებმა შეტევა გააგრძელეს, ამირან ყველაშვილი საჯარიმოში აწვდიდა, ბურთი ერთ-ერთ ბოლნისელს მოხვდა, სტუმართა აზრით — ხელზე და თერთმეტრიანს ითხოვდნენ, მაგრამ კამათისთვის ყვითელი ბარათის მეტს ვერაფერს გამორჩნენ.

მე-16 წუთზე კი მოღრუბლულ ცაზე მეხი გავარდა — ზვიად სტურუა ბურთის ცენტრისკენ ამოტანას აპირებდა, თუმც მის დარტყმულს გიორგი ნერგაძემ დაუფარა, საჩუქარი შეირგო და ცარიელ კარში მშვიდად შეაგორა, როგორც შემდგომ გამოჩნდა — გამარჯვებისა.

ბოლნისელებს გასათანაბრებლად ერთადერთი მომენტი ჰქონდათ — საჯარიმოში შექმნილი არეულობისას ბურთი ლევან ბაჯელიძეს მიუვიდა, მანაც კარგად დაარტყა, მაგრამ ლაშა ჭელიძემ თითქმის კარის ხაზიდან გამოიტანა.

გატანა ქარქუზაშვილსაც მართებდა. სანიკიძის თავიდან აჭრილი ბურთი საჯარიმოში მარტოდმარტო მდგომ ბორჯომელს მიუვიდა, თუმც სანამ სველ ბურთს დაამუშავებდა, და კარში დაარტყამდა, ფრიდოლინიმ დაფარება მოასწრო.

ყიფშიძემ თამაშის გადარჩენა სცადა, თავდასხმაში ეულად მყოფ ჩასემს ჯერ ზვიად ქუთათელაძე შეუწყვილა, ბოლოსკენ კი დუეტი ბესიკ ქარდავამ ტრიოდ აქცია, მაგრამ მასპინძლებმა ვერაფრით იხეირეს...

# ბათუმმა გოლამდე კარგად ითამაშა

ზესტაფონი. 24 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური. 1 000 მაყურებელი

## ზესტაფონი 4:0 ბათუმი

1:0 გ. ნოდ. ჭელიძე (20), 2:0 ჟონატასი (48), 3:0 გ. ფიფია (65), 4:0 ზ. იონანიძე (84)

**ზესტაფონი:** ქანტურია, თოდუა, ხიდეშელი, კ. ჩხეტიანი, ლობჟანიძე, საჯაია, ჟონატასი (ლონლაძე 73), კესანი, ბ. გოცირიძე (იონანიძე 68), ფიფია, გ. ნოდ. ჭელიძე (ბიტოო 89)
სათადარიგონი: რ. კვასხვაძე, ვიეირა, დაუშვილი, რ. ონიანი
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**ბათუმი:** მინაშვილი (თორთლაძე 62), ლ. მახარაძე, გალოგრე, თედორაძე, მაკარიანი, ვ. კუნჭულია, დარჩიძე, ცანავა (ა. ბაჯელიძე 10), დემურაძე, ბეჟანიძე (ოქრუაშვილი 72), ბაციკაძე
სათადარიგონი: ტულუში
**მწვრთნელი:** ავთანდილ კუნჭულია
გაფრთხილება: გოცირიძე (50), დარჩიძე (54), საჯაია (74), თორთლაძე (84)

**გაფრთხილება:** გოცირიძე (50), დარჩიძე (54), საჯაია (74), თორთლაძე (84)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ბ. ქიჭინაძე, ო. მოლოდინაშვილი; თ. გვანცელაძე

**დამკვირვებელი:** ო. რუხაძე



**ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან**

**მზიანი** ამინდი იყო, თუმც სტადიონზე უჩვეულოდ ცოტა მაყურებელი მოვიდა. მიზეზი კი ის იყო, რომ პროფლიგის ვებგვერდმა ამ მატჩის ჩატარების თარიღი 25 ნოემბერი თქვა და ხალხიც შეცდომაში შეიყვანა. გათამაშების ლიდერის და აუტსაიდერის მატჩში ალბათ ზესტაფონის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ როგორც შედეგიდან ჩანს, არც ასე უჯობნია თემურ მახარაძის გუნდს ბათუმისთვის.

პირველ გოლამდე თანაბარი თამაში იყო, სტუმრები ცუდად არ გამოიყურებოდნენ. ანგარიში კი ასე გაიხსნა: გიორგი ხიდეშელი შეტევაში მარცხენა ფრთიდან ჩაერთო და საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე უმეთვალყურეოდ იყო მიტოვებული და თავით ზუსტად დაარტყა.

ზღვისპირელები მოკლე პასებს კარგად ათამაშებდნენ და შეტევაში ასე გადადიოდნენ, თუმც დამთავრება არ უვარგოდათ.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე „ზესტაფონმა“ მეორედ გაიტანა. კუთხურიდან ჩაწოდებულს პოლ კესანმა თავური მიაყოლა, ბურთი კარისკენ წავიდა, ჟონატასმა კი ფეხი დაუხვედრა და 2:0.

ჟონატასმა მარჯვენა ფრთაზე იაქტიურა, საჯარიმოში დაბალი ბურთი შეაგდო, მცველმა უხეიროდ ითამაშა და გოგა ფიფიას მესამის გატანა აღარ გასჭირვებია.

ზურაბ იონანიძე შეცვლაზე შევიდა და როგორ იქნებოდა, არ გაეტანა. კესანმა მარჯვენა ფრთაზე კარგად შეაყოლა ბურთი სვასტი თოდუას, მან კი საჯარიმოში ჩააწოდა, ირაკლი თორთლაძეს ბურთი თავზე გადააფრინდა და „იონამაც“ კარში დარტყმა მოახერხა.

# სტადიონის მოზიარეებმა ქულებიც გაიზიარეს

გორი. 24 ნოემბერი. 14 საათი. თ. ბურჯანაძე. 200 მაყურებელი

## დილა 0:0 სპარტაკი

**დილა:** კეზხუაშვილი, ბალაშვილი, დ. ხანიშვილი, ბალიაშვილი, ლაცაბიძე, შატაკიშვილი, სულთანიშვილი, სადალაშვილი, ნ. ნოზაძე (ტლაშაძე, 88), დიკსენჩუკვუ, სამადაშვილი (68)
სათადარიგონი: ილურიძე; მასურაშვილი, ლომიძე, კურტანიძე, თურმანიძე
**მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი

**სპარტაკი:** ქვილითაია, ბახტურიძე, ქემოკლიძე, ხაჯიპერაძე, მამუკაშვილი, ჩირიკავშილი, ავალიანი (ივანიშვილი, 78), თარხნიშვილი, ძარია, გოგოხია (დარბაიძე, 46), ჯანელიძე
სათადარიგონი: კოდალაევი, კუპრეიშვილი, ტატაევი, ხიდეშელი, თექთურმანიძე
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**გაფრთხილება:** ბალაშვილი (21), თარხნიშვილი (37), შატაკიშვილი (46), ბალიაშვილი (52), ავალიანი (63), ძარია (70), ძარია (72)

**გაძევება:** ძარია (72)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია; ლ. მიქელაძე, ზ. ერქვანია; კ. ჭაჭუა

**ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან**

**შიდაქართლური** დერბი მოწინააღმდეგეებმა სწრაფ ტემპში დაიწყეს, რასაც გარკვეულწილად ცივმა ამინდმაც შეუწყო ხელი.

სტუმრებს პირველივე წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, მაგრამ ბოლო მომენტში ოდნავ დააგვიანეს კარში დარტყმა. აქვე „დილამაც“ საპასუხო შეტევა განახორციელა, რაც მხოლოდ კუთხურით დამთავრდა. მწვავე დებიუტი შემდეგ თამაში ოდნავ დაწყნარდა და გუნდები პოზიციურ სტილზე გადაერთვნენ. მეტოქენი არაფერს უთმობდნენ ერთმანეთს და მატჩიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სახიფათო მომენტები როგორც ერთ, ისე მეორე კართან ნაკლებად იქმნებოდა.

მეორე ტაიმი „დილას“ შეტევებით დაიწყო. 48-ე წუთზე სულთანიშვილის კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთზე ბალიაშვილი კარგად გავიდა, რომლის თავური დარტყმა „სპარტაკის“ გოლკიპერმა გაჭირვებით მოიგერია.

სახიფათო მომენტები სტუმრებმაც შექმნეს. ავალიანი ინდივიდუალური გარღვევით „დილას“ მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, დაარტყა, მაგრამ კეზხუაშვილმა სასწაულებრივ გადაარჩინა კარი.

72-ე წუთიდან „დილამ“ რიცხობრივი უპირატესობა მოიპოვა, რადგან ძარიამ მეორედ მიიღო ყვითელი ბარათი, თუმცა ამით მასპინძლებმა ვერაფერი იხეირეს და თამაშიც უგოლო ფრით დასრულდა.

### პრესკონფერენცია

*კობა ჟორჟიკაშვილი:* თავიდანვე ვიცოდით, რომ მატჩი დაძაბული იქნებოდა, მით უმეტეს, რომ „დილას“ ახალი მწვრთნელი ჰყავს და მოსაგებად უფრო მეტი სტიმული ჰქონდა. მომენტები ორივე გუნდმა შექმნა, მაგრამ...

*ზურაბ ხორგუაშვილი:* თამაში ლოგიკურად დასრულდა. „სპარტაკი“ კარგი გუნდია და კარგადაც ითამაშა. მოთამაშეთა შეცვლებით, ბრძოლისუნარიანი გუნდი შევქმნათ.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. კონფერენსი 26 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 42 | სტივენეიჯი-ალტრინჰემი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა 26 ნოემბერი | | | | | | |
| 22:45 | 144 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| | | იტალია. სერია C1/A 26 ნოემბერი | | | | | | |
| 22:45 | 43 | ვერონა-პაგანეზე | 1.60 | 3.00 | 6.00 | 1.04 | 1.26 | 2.00 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა 26 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 44 | ბოავიშტა-გიმარაეში | 2.60 | 3.00 | 2.60 | 1.39 | 1.29 | 1.39 |
| | | ჩეხეთი 26 ნოემბერი | | | | | | |
| 20:15 | 45 | კლადნო-ბანიკი | 3.30 | 3.00 | 2.10 | 1.57 | 1,28 | 1.23 |
| | | სლოვაკეთი 26 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 46 | ნიტრა-ჟილინა | 2.85 | 2.90 | 2.35 | 1.43 | 1.28 | 1.29 |
| | | დანია. სუპერლიგა 26 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 47 | ორჰუსი-ნორდსიელანდი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| | | ჩემპიონთა ლიგა 27 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 1 | შტუტგარტი-რეინჯერსი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 23:45 | 2 | ლიონი-ბარსელონა | 2.75 | 3.20 | 2.30 | 1.47 | 1.25 | 1.33 |
| 23:45 | 3 | დინამო კ-რომა | 4.00 | 3.20 | 1.85 | 1.77 | 1.26 | 1.17 |
| 23:45 | 4 | მანჩესტერი-სპორტინგი | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 23:45 | 6 | ცსკა მ-პსვ | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 23:45 | 7 | ინტერი-ფენერბაჰჩე | 1.37 | 4.00 | 7.00 | 1.02 | 1.14 | 2.54 |
| 23:45 | 9 | სტიაუა-სლავია | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:45 | 10 | სევილია-არსენალი | 2.15 | 3.00 | 3.10 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| | | 28 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 11 | როზენბორგი-ჩელსი | 5.50 | 3.20 | 1.60 | 2.02 | 1.23 | 1.06 |
| 23:45 | 12 | ვალენსია-შალკე | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| 23:45 | 14 | ვერდერი-რეალი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 23:45 | 15 | ლაციო-ოლიმპიაკოსი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 23:45 | 16 | ბენფიკა-მილანი | 2.90 | 3.10 | 2.25 | 1.49 | 1.26 | 1.30 |
| 23:45 | 17 | სელტიკი-შახტარი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 23:45 | 18 | ბეშიქთაში-მარსელი | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 23:45 | 19 | ლივერპული-პორტუ | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| | | ჰოკეი შვედეთი 26 ნოემბერი | | | | | | |
| 21:00 | 521 | მოდო-ტიმრე | 1.90 | 4.20 | 2.50 | 1.30 | 1.07 | 1.56 |
| 21:00 | 522 | ჰვ 71-ფროილუნდა | 1.60 | 4.20 | 3.50 | 1.15 | 1.09 | 1.90 |
| 21:00 | 523 | ლინჩოპინგი-სოდერტელიე | 1.30 | 4.40 | 4.80 | 1.00 | 1.02 | 2.29 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10044 | ბოავიშტა-გიმარაეში | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10047 | ორჰუსი-ნორდსიელანდი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10144 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11044 | ბოავიშტა-გიმარაეში | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11047 | ორჰუსი-ნორდსიელანდი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11144 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12044 | ბოავიშტა-გიმარაეში | 1.55 | 2.20 |
| 12047 | ორჰუსი-ნორდსიელანდი | 1.90 | 1.70 |
| 12144 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13044 | ბოავიშტა-გიმარაეში | 1.90 | 1.70 |
| 13047 | ორჰუსი-ნორდსიელანდი | 1.60 | 2.00 |
| 13144 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.60 | 2.00 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14044 | ბოავიშტა-გიმარაეში | 1.90 | 1.90 |
| 14047 | ორჰუსი-ნორდსიელანდი | 1.85 | 1.95 |
| 14144 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.95 | 1.85 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15044 | ბოავიშტა-გიმარაეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15047 | ორჰუსი-ნორდსიელანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15144 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16044 | ბოავიშტა-გიმარაეში | 1.82 | 1.82 |
| 16047 | ორჰუსი-ნორდსიელანდი | 1.75 | 1.85 |
| 16144 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.82 | 1.82 |

### გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17044 | ბოავიშტა-გიმარაეში | 1.85 | 1.95 |
| 17047 | ორჰუსი-ნორდსიელანდი | 1.85 | 1.95 |
| 17144 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.85 | 1.95 |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

### ავტორბოლა

# თბილისის რალი ერთი კვირით გადაიდო

შაბათს თბილისის შემოგარენში, კერძოდ, ტაბახმელას, კოჯრისა და ცხვარიჭამიას გზებზე საქართველოს ავტოსპორტის ფედერაციის მიერ ორგანიზებული რალი „თბილისი 2007" ვერ ჩატარდა დიდთოვლობის გამო.

კოჯრის მიდამოებში თოვლის საფარმა თითქმის 20 სანტიმეტრს გადააჭარბა. გზებზე მომეტებული საფრთხის გათვალისწინებით, ფედერაციამ შეჯიბრება ერთი კვირით გადადო და პირველ დეკემბერს გაიმართება.

**გია ახალაძე**

## რეგულარული ჩემპიონატი

22 ნოემბერი

**ოტავა 5:6 პიტსბურგი**

*2:2 2:1 1:2 0:0 (0:1 ბულიტებით)*

1:0 სპეცა (5), 2:0 ფილიპსი (11), 2:1 მალკინი (19), 2:2 მელოუნი (19), 2:3 კენედი (28), 3:3 სპეცა (25), 4:3 პიტლი (37), 5:3 შუბერტი (42), 5:4 მელონი (46), 5:5 გონჩარი (48)

**ნეშვილი 3:2 დეტროიტი**

*1:1 1:1 1:0*

0:1 ფრენზენ (3), 1:1 არნოტი (13), 1:2 ზეტერბერგი (39), 2:2 ერატი (40), 3:2 ბონკი (43)

**კალგარი 1:2 ჩიკაგო**

*0:0 1:1 0:1*

0:1 დოუელი (26), 1:1 იგინლა (33), 1:2 შარპი (41)

**ედმონტონი 2:3 კოლორადო**

*1:1 1:2 0:0*

0:1 სკრასტინში (7), 1:1 პორკოფი (17), 1:2 პეიდუკი (27), 2:2 პემსკი (28), 2:3 სვატოში (31)

23 ნოემბერი

**ბოსტონი 2:1 აილენდერსი**

*0:0 1:0 1:1*

1:0 მიურეი (38), 2:0 მეტროპოლიტი (53), 2:1 სელინჯერი (55)

**ფილადელფია 3:4 ვაშინგტონი**

*0:1 2:2 1:0 0:1 (ოვერტაიმში)*

0:1 გრინი (3), 0:2 კლარკი (24), 0:3 ბრაშირი (35), 1:3 ბრიარი (36), 2:3 კარტერი (38), 3:3 რიჩარდსი (56), 3:4 ბექსტრომი (62)

**მინესოტა 0:4 კოლუმბუსი**

*0:1 0:2 0:1*

0:1 პეკა (4), 0:2 ვიბორნი (28), 0:3 ფრიჩი (33), 0:4 ნეში (45)

**ანაჰაიმი 3:4 ფინიქსი**

*1:1 1:1 1:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*

0:1 მიულერი (10), 1:1 გეცლაფი (13), 1:2 ვრბატა (31), 2:2 პრონგერი (40), 3:2 პრონგერი (43), 3:3 ვრბატა (59)

**კაროლინა 4:3 ტამპა**

*1:1 0:2 3:0*

1:0 სტაალი (5), 1:1 რეინჯერი (15), 1:2 პროსპალი (33), 1:3 პროსპალი (35), 2:3 უიტნი (42), 3:3 უილიამსი (47), 4:3 ვესლი (49)

**ბუფალო 4:2 მონრეალი**

*1:0 1:1 2:1*

1:0 როი (9), 2:0 კონოლი (28), 2:1 ჰიგინსი (30), 2:2 პლეკანეცი (45), 3:2 ვანეკი (52), 4:2 პაიე (60)

**ატლანტა 0:3 ნიუ ჯერსი**

*0:0 0:2 0:1*

0:1 პელი (29), 0:2 მარტინი (37), 0:3 პანდოლფო (60)

**ფლორიდა 3:2 რეინჯერსი**

*0:1 1:0 1:1 0:0 (1:0 ბულიტებით)*

0:1 დრური (20), 1:1 ბუტი (31), 2:1 ვეისი (42), 2:2 დრური (57)

**დალასი 3:1 ტორონტო**

*0:1 2:0 1:0*

0:1 პონიკაროვსკი (4), 1:1 რიბეირო (24), 2:1 ნიეტინენი (36), 3:1 ჰელპერნი (60)

**სენტ ლუისი 3:1 ვანკუვერი**

*1:0 1:0 1:1*

1:0 კარია (18), 2:0 ჯონსონი (22), 3:0 რუჩინსკი (45), 3:1 კესლერი (46)

24 ნოემბერი

**ოტავა 3:4 ფილადელფია**

*2:1 1:3 0:0*

1:0 რადენი (7), 1:1 აბერგერი (9), 2:1 პიტლი (15), 2:2 ჰარტნელი (21), 3:2 შუბერტი (24), 3:3 რიჩარდსი (28), 3:4 ბრიარი (34)

**ვაშინგტონი 5:2 კაროლინა**

*2:0 1:1 2:1*

1:0 გრინი (4), 2:0 ოვეჩკინი (7), 3:0 ნიულანდერი (32), 3:1 კოული (40), 3:2 უიტნი (43), 4:2 ოვეჩკინი (59), 5:2 გორდონი (60)

**ფინიქსი 5:1 ტორონტო**

*4:1 1:0 0:0*

1:0 ვინიკი (5), 2:0 მიულერი (9), 3:0 რაინპრეხტი (9), 3:1 ველვუდი (17), 4:1 მორისი (19), 5:1 ვრბატა (23)

**კოლუმბუსი 3:2 დეტროიტი**

*2:0 0:2 0:0 0:0 (1:0 ბულიტებით)*

1:0 მელოტრა (13), 2:0 ჟერდევი (18), 2:1 პოლმსტრომი (31), 2:2 დაციუკი (31)

**აილენდერსი 2:1 ბოსტონი**

*0:1 1:0 1:0*

0:1 აქსელსონი (4), 1:1 ჟილბერტი (38), 2:1 პაკი (48)

**მონრეალი 0:3 ბუფალო**

*0:0 0:2 0:1*

0:1 შპაჩეკი (30), 0:2 ვანეკი (34), 0:3 ხეჩტი (60)

**კოლორადო 2:5 კალგარი**

*0:2 0:2 2:1*

0:1 ლენგკოუ (9), 0:2 ლომბარდი (19), 0:3 ოკპოსი (28), 0:4 იელი (31), 1:4 საკიკი (44), 1:5 კონროი (48), 2:5 რიჩარდსონი (56)

**ტამპა 2:3 ნიუ ჯერსი**

*0:0 1:3 1:0*

1:0 ლეკავალიე (21), 1:1 ჯიონტა (25), 1:2 ჯიონტა (33), 1:3 კლარკსონი (34), 2:3 უორდი (41)

**პიტსბურგი 5:0 ატლანტა**

*3:0 1:0 1:0*

1:0 სტაალი (4), 2:0 მელოუნი (12), 3:0 არმსტრონგი (16), 4:0 კროსბი (29), 5:0 უიტნი (46)

**ნეშვილი 3:4 მინესოტა**

*2:2 0:1 1:1*

0:1 ვორონში (12), 1:1 ერატი (13), 2:1 ჟელინა (14), 2:2 ფოი (15), 2:3 გაბორიკი (39), 3:3 ფიდლერი (51), 3:4 რადივოევიჩი (59)

**ედმონტონი 3:2 ჩიკაგო**

*0:0 1:1 1:1 0:0 (1:0 ბულიტებით)*

0:1 ვანდერმეერი (21), 1:1 პემსკი (33), 2:1 რიზონერი (47), 2:2 კეიტი (52)

**სან ხოსე 1:2 ლოს ანჯელესი**

*0:2 0:0 1:0*

0:1 ბრაუნი (1), 0:2 კოპიტარი (20), 1:2 მიხალეკი (53)

# თამაში ფრანგის დაკრულზე

## დღეს საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება



ბადრი ქათილაშვილის ფოტო

**დღეს** ქართული რაგბის ძველ ალაგზე, ვაკეში, „ლოკომოტივზე" შინაური რაგბის მთავარი ჯახია, საქართველოს ჩემპიონატის ფინალში „ბზის თასისთვის" თბილისური კლუბები — „ყოჩები" და „ლელო" ფრანგი მსაჯის პიერ პერშაბერის სასტვენქვეშ დაეჯახებიან ერთმანეთს.

რადგან ჩვენი საკლუბო რაგბი სამოყვარულოა და ორშაბათი უქმე დღე არ არის, მატჩი პროჟექტორების შუქზე საღამოს შვიდ საათზე დაიწყება, მორაგბეებმა სამსახურის შემდეგ ფინალის თამაში რომ შეძლონ.

ფინალისტები ამ სეზონში უკვე სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და სამივეჯერ „ყოჩებმა" მოიგეს. ისე, როგორც არ უნდა დასრულდეს მატჩი, საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება, რაკი შარშანდელი ტრიუმფატორი „ლიგამუსი" (ყოფილი ლოკომოტივი) ოდენ მესამეობას და ბრინჯაოს დასჯერდა. „ლიგამუსმა" ეგრეთ წოდებული „ავსტრალიური სისტემით" გამართულ პლეი ოფში „ლელოსთანაც" წააგო და „ყოჩებთანაც" და ტიტული დათმო.

„ყოჩები" მეტოქეზე ასაკოვანი კლუბია და 1997-1998 სეზონებში მიჯრით ორჯერ იჩემპიონა. მერე კლუბს, რომელიც სტუ-ს ბაზაზე 90-იანების დასაწყისში ჩამოყალიბდა, თაობათა ცვლა დაეწყო და პოზიციები დათმო. ახლა კი სოლიდური ბირთვი შეკრა, მწვრთნელებად ყოფილი ყოჩელები და მენაკრებელები — ნიკო ჭავჭავაძე და ირაკლი გიორხელიძე დააყენა. გუნდიც ათამაშდა და აგერ ფინალშიც გავიდა. ისიც ვთქვათ, რომ ერთი თვის წინ „ყოჩებმა" საქართველოს თავის ფინალი ქუთაისში მოუგეს „ლიგამუსს" და ახლა დუბლის შანსი აქვთ.

ხუთი სეზონია, რაც „ლელო" უმაღლეს ლიგაშია და ფინალისტობა და 2004 წელს ჩემპიონობა მოასწრო. კლუბის საკადრო პოლიტიკა სხვებისთვის მისაბაძი უნდა იყოს, რაკი მორაგბეთა მიგრაციით გამოწვეულ სიცარიელეს თავისი სკოლის აღზრდილებით ავსებს, ამასთან ყველა ასაკობრივი ნაკრების ძირითადი დონორია.

სადღეისო მატჩისწინა პრესკონფერენცია რაგბის კავშირში გიორგობა დღეს გაიმართა და მეტოქე მწვრთნელ-მორაგბეები მცირე კომენტარებით შემოიფარგლნენ.

***ნიკო ჭავჭავაძე***, „ყოჩების" მოთამაშე-მწვრთნელი: „როგორც თასის ფინალისთვის, ამ მატჩისთვისაც განსაკუთრებით ვემზადებით. გუნდი შეკრებაზეა — ნორმალურ პირობებში ვარჯიშობს. საგრძნობი დანაკლისი არ გვაქვს, ერთადერთი გიორგი კაჭარავას აქვს ტრავმა, მისი თამაში სათუოა. რაც შეეხება მსაჯობას, ძალიან კარგია, რომ ფრანგი იქნება. მე რამდენიმე წელი ვითამაშე საფრანგეთში და იქაური მსაჯობაც ვიცი. ბიჭებს ვუხსნი, რა და როგორ უნდა გააკეთონ ზედმეტი ჯარიმების თავიდან ასაცილებლად".

***ჯაბა ბრეგვაძე***, „ყოჩების" კაპიტანი: „ვფიქრობ სანახაობრივი და ლაღი თამაში უნდა გამოვიდეს. ორივე გუნდი თანაბარი ძალისაა. თუ ამინდმაც ხელი შეგვიწყო, კომბინაციური რაგბი იქნება. ჩვენ უკან დახევას არ ვაპირებთ და იმედია, მეტოქეც აგვყვება ხელდახელ თამაშში".

***ლევან მაისაშვილი***, „ლელოს" მწვრთნელი: „კარგია, რომ ფინალს ფრანგი იმსაჯებს. ფრანგ არბიტრებს არ უყვართ ხშირი ჯარიმები და თამაში დინამიური უნდა გამოვიდეს. ჩვენ თითქმის ორკვირიანი დასვენება გამოგვივიდა, თუმც ვერ ვიტყვი, კარგია ეს თუ ცუდი. ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული არავინ არ გვყავს. ერთი სიტყვით, ფინალისთვის ყველანაირად მზად ვართ".

***ირაკლი ყიასაშვილი***, „ლელოს" კაპიტანი: „სეზონის ბოლო მატჩია და ყველაფერი უნდა დავდოთ ფინალის მოსაგებად. ხელისშემშლელ მიზეზებზე ლაპარაკი უადგილოც კია. მოსაგები უნდა მოიგო".

ერთიც, თავში ვთქვით, რომ „ყოჩები" ორჯერ, „ლელო" კი ერთხელ გამხდარა საქართველოს ჩემპიონი. ყველაზე მეტჯერ ახლანდელმა „ლიგამუსმა" იჩემპიონა, რკინიგზელებმა ხუთჯერ მოიგეს „ბზის თასი", მაგრამ პრაქტიკულად შვიდგზის ჩემპიონები არიან, რადგან ერთხელ „ვესტა" ერქვათ, მეორედ კი „თბილისი".

**ბაჩო სვანიძე**

### საქართველოს ყველა ჩემპიონი

1990 — აია (ქუთაისი)
1991 — აია (ქუთაისი)
1992 — ვესტა (თბილისი)
1993 — რუსთავი (რუსთავი)
1994 — თბილისი (თბილისი)
1995 — აია (ქუთაისი)
1996 — გუმარი (თბილისი)
1997 — ყოჩები (თბილისი)
1998 — ყოჩები (თბილისი)
1999 — დათვები (ბათუმი)
2000 — ლოკომოტივი (თბილისი)
2001 — ლოკომოტივი (თბილისი)
2002 — დათვები (ბათუმი)
2003 — ლოკომოტივი (თბილისი)
2004 — ლელო (თბილისი)
2005 — ლოკომოტივი (თბილისი)
2006 — ლოკომოტივი (თბილისი)



## საქართველოს ჩემპიონატი

23 ნოემბერი. რუსთავი

**ენერჯი-ინვესტი 81:62 ვითა**

14:17 30:14 17:12 20:19

ინვესტი: გამყრელიძე (6), ბოისა (9), ლეჟავა (13), სტეფანოვი (9), ბაბიაშვილი (3), ცეკვავა (16), ჭოჭუა (14), დიდია (13), გოგობერიშვილი (3), ტუჯანი (2), ლიპარტელიანი

ვითა: მარხვაშვილი (7), ბ. ბერიშვილი (5), წივწივაძე (10), ბეჟანიშვილი (4), გვიმრაძე (6); ბერძენიშვილი (14), მარკოიშვილი (12), მ. ბერიშვილი (4), ლ. ნოზაძე, ნ. ნოზაძე, ძიძიგური

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერიკაშვილი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

25 ნოემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე

**თსუ 89:95 დინამო**

*ძირითადი დრო 76:76*

20:23 17:16 27:21 12:16 19:19

თსუ: ჩიტაშვილი (12), ფანჩულიძე (11), ხეცურიანი (32), ტყეშელაშვილი (4), მათიაშვილი (20); ყველაშვილი (6), არწივიძე (2), ჯგერენაია (2)

დინამო: ტლენტი (29), გულისაბედაშვილი (20), ლაფანაშვილი (17), ახალკაცი (13), ათანელაშვილი (2); მაისურაძე (12), სიგუა (2)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე

კომისარი: როლან ხომერიკი

**ავიამშენი 93:95 მაკაბი**

*ძირითადი დრო 83:83*

29:14 12:28 27:16 15:25 10:11

ავიამშენი: ნიკოლაძე (15), ტულუში (12), შანიძე (13), ნინიაშვილი (9), როდუმტა (10); ხოშტარია (12), მინაშვილი (12), ბარბაქაძე (5), სუხიშვილი (2), კვიმსაძე (2), ბერაია (1), იმნაძე

მაკაბი: ი. ბერიშვილი (24), სორდია (17), ვაშაკიძე (8), ს. შერმადინი (5), გ. შერმადინი (29); კოლუაშვილი (8), პირველაშვილი (3), კორკოტაძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

23 ნოემბერი

**ორლანდო 105:92 შარლოტი**

ორლანდო: ჰოვარდი (34 ქულა, 17 მოხსნა, 4 დაფარება), თურქოღლუ (16)

შარლოტი: ტეპრმანი (16), რიჩარდსონი (14)

**ვაშინგტონი 115:123 სტეიტი**

ვაშინგტონი: ჯემისონი (30 ქულა, 12 მოხსნა), ბატლერი (26 ქულა, 11 მოხსნა, 10 დაფარება), იანგი (19)

გოლდენ სტეიტი: დევისი (33 ქულა, 15 პასი, 11 მოხსნა), ჯექსონი (28), აზუბუიკე (15)

**ბოსტონი 107:94 ლეიკერსი**

ბოსტონი: გარნეტი (21 ქულა, 11 მოხსნა), პერკინსი (21), პირსი (20), ალენი (18)

ლეიკერსი: ბრაიანტი (28), რადმანოვიჩი (18)

**დეტროიტი 83:78 ფილადელფია**

დეტროიტი: პრინსი (15), მაქსიელი (14)

ფილადელფია: იგუდალა (17), უილიამსი (15)

**მაიამი 98:91 ჰიუსტონი**

მაიამი: უეიდი (31), ონილი (26 ქულა, 14 მოხსნა)

ჰიუსტონი: მინი (20), სკოლა (20 ქულა, 9 მოხსნა), მაკგრეიდი (19)

**ინდიანა 111:107 დალასი**

ინდიანა: გრეინჯერი (25), ტინსლი (94), მერფი (18), დანლივი (17)

დალასი: პარისი (24), ნოვიცკი (20 ქულა, 11 მოხსნა), ჰოვარდი (19)

**სან ანტონიო 101:88 მემფისი**

სან ანტონიო: დანკანი (28 ქულა, 9 მოხსნა), პარკერი (21), ბერი (14)

მემფისი: ნავარო (16), გაი (15)

**დენვერი 99:93 მინესოტა**

დენვერი: ენტონი (31), მარტინი (18), აივერსონი (13 ქულა, 10 პასი), კემბი (10 ქულა, 18 მოხსნა, 5 დაფარება)

მინესოტა: ფოსტერი (24), გომესი (18), ჯეფერსონი (15 ქულა, 14 მოხსნა)

**იუტა 99:71 ნიუ ორლეანი**

იუტა: ბუზერი (19), ბრიუერი (13 ქულა, 16 მოხსნა)

ნიუ ორლეანი: ვესტი (18 ქულა, 14 მოხსნა), პოლი (15)

**ფინიქსი 113:94 კლიპერსი**

ფინიქსი: სტუდემაიერი (29 ქულა, 11 მოხსნა), მერიონი (21 ქულა, 17 მოხსნა, 5 ჩაჭრა), ნეში (20 ქულა, 10 პასი), ჰილი (19)

კლიპერსი: კეველი (26), პატერსონი (18 ქულა, 11 მოხსნა), კამანი (17 ქულა, 14 მოხსნა, 4 დაფარება)

**პორტლენდი 87:84 საკრამენტო**

პორტლენდი: ოლდრიჯი (28 ქულა, 12 მოხსნა), როი (13), პლეიკი (13)

საკრამენტო: მარტინი (21), არტესტი (17 ქულა, 11 მოხსნა), გარსია (17)

**სიეტლი 93:98 ნიუ ჯერსი**

სიეტლი: უესტი (17), გრინი (14 ქულა, 14 მოხსნა)

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (30), კარტერი (15), კიდი (14)

24 ნოემბერი

**მინესოტა 87:94 ატლანტა**

მინესოტა: იარიჩი (20), მაკკანტსი (11), გომესი (8), ჯეფერსონი (23 ქულა, 16 მოხსნა), მადსენი; ფოსტერსი (12), სმიტი (7), ტელფაირი (6), ბაკნერი, ბრიუერი

ატლანტა: ა. ჯონსონი (6), ჯ. ჯონსონი (25), მ. უილიამსი (10), სმიტი (16), ჰორფორდი (6); ჩილდრესი (14), ლუ (13), შ. უილიამსი (4), ჯონსი

ფარჩულიას არ უთამაშია

**ნიუ იორკი 85:78 ჩიკაგო**

ნიუ იორკი: კარი (21), რენდოლფი (20), მარბერი (19)

ჩიკაგო: ნოჩიონი (23), გორდონი (13)

**კლივლენდი 111:108 ტორონტო**

კლივლენდი: ჯეიმსი (37 ქულა, 12 მოხსნა, 12 პასი, 4 ჩაჭრა), გიბსონი (17), ჯონსი (17), ილგაუსკასი (16 ქულა, 15 მოხსნა)

ტორონტო: ბოში (41), კალდერონი (17), ბარნანი (14)

**ორლანდო 120:99 მაიამი**

ორლანდო: თურქოღლუ (27), ლუისი (19), ჰოვარდი (17 ქულა, 13 მოხსნა), დულინგი (17)

მაიამი: უეიდი (32), დევისი (23), ონილი (20)

**ფილადელფია 98:100 გ. სტეიტი**

ძირითადი დრო 90:90

ფილადელფია: იგუდალა (26 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება), მილერი (23), უილიამსი (18)

გოლდენ სტეიტი: ელისი (31), დევისი (22), ჯექსონი (18)

**შარლოტი 95:96 ბოსტონი**

შარლოტი: რიჩარდსონი (25), ფელტონი (18), ოკაფორი (15)

ბოსტონი: გარნეტი (23 ქულა, 11 მოხსნა), პირსი (23), ალენი (24)

**მემფისი 124:118 ვაშინგტონი**

მემფისი: ნავარო (28), გაი (27), გასოლი (21), ლოური (17), მილერი (17)

ვაშინგტონი: ჯემისონი (41 ქულა, 11 მოხსნა), ბატლერი (27)

**ჰიუსტონი 109:81 დენვერი**

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (35), მინი (22 ქულა, 13 მოხსნა)

დენვერი: აივერსონი (18), ენტონი (17)

**მილუოკი 97:95 დალასი**

მილუოკი: რედი (27), უილიამსი (19 ქულა, 10 პასი), ბოგუტი (16 ქულა, 14 მოხსნა)

დალასი: ჰოვარდი (24 ქულა, 11მოხსნა), ტერი (21), ნოვიცკი (21)

**კლიპერსი 89:98 ნიუ ორლეანი**

კლიპერსი: მობლი (20), კამანი (18 ქულა, 12 მოხსნა)

ნიუ ორლეანი: სტოიაკოვიჩი (22), ვესტი (18)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოლო წუთები ჩვენი იყო
## ცოტა, მაგრამ ძალიან საჭირო ქართული გოლები

**რუსეთის** პრემიერლიგის დასრულების შემდეგ ქართველ ლეგიონერთა რიცხვი შეთხელდა. მათგან, ვინც დარჩა, გასულ უქმეზე თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა. ჩვენებურებმა ორი გოლი გაიტანეს და ორივე გამარჯვებისა.

იტალიის სერია A-ში **კახა კალაძის** გარეშე ითამაშა „მილანმა" და სტუმრად 2:1 მოუგო „კალიარის". არადა, მილანელები უკვე მე-3 წუთზე აგებდნენ.

უქართველებოდ ჩაიარა გერმანიის ბუნდესლიგამაც. **ლევან კობიაშვილი** და **ალექსანდრე იაშვილი** ავადმყოფობენ და ბოლო ტურიც ამიტომ გამოტოვეს; კობის „შალკემ" სტუმრად 3:2 მოუგო „ჰანოვერს", იაშის „კარლსრუემ" კი — შინ 2:1 „ჰერტას".

მეორე ბუნდესლიგაში „ქართული" დერბი არ შედგა. **ოთარ ხიზანეიშვილი** „ფრაიბურგის" თადარიგში დარჩა, **მათე ღვინიანიძემ** კი „მიუნხენ 1860-"ის შემადგენლობაში 90 წუთი იბურთავა. მათი გუნდების თამაში კი 2:2 დასრულდა.

„ოსნაბრიუკესთან" ფრედ, 1:1 ითამაშა სტუმრად იენის „კარლ ცაისმა", **გიორგი ონიანი** 90 წუთი გაისარჯა გუნდისთვის, **ილია კანდელაკი** კი — 85. ილიამ ყვითელი ბარათიც მიიღო. **გიორგი სეთურიძე** კი იენელებს ტრავმის გამო კარგა ხანს ვერ დაეხმარება.

როგორც იქნა, მოიგო „პადერბორნმა". **დავით სირაძის** გუნდმა შინ 1:0 დაამარცხა „ფიურტი". ჩვენებურის უთამაშებლობის მიზეზს მკითხველი მიხვდება.

კვლავ არ ჩანს „ბლექბერნის" შემადგენლობაში **ზურაბ ხიზანიშვილი**. მან ნაკრებში ვარჯიშისას ტრავმა მიიღო და „ფულემთან" მატჩი ამის გამო გამოტოვა.

შვეიცარიის თასის მეოთხედფინალში გავიდა **სანდრო იაშვილის** „თუნი", რომელმაც სტუმრად 1:0 დაამარცხა „ლუცერნი". იაშვილმა სასტარტოში დაიწყო და 77-ე წუთზე შეცვალეს.

უკრაინის ჩემპიონატში სენსაცია გამოაცხო **ვასილ გოგიაძის** „ნეფტიანიკმა", რომელიც სტუმრად 1:1 ეთამაშა ლიდერ „შახტარს", თუმც ჩვენებური მხოლოდ სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს.

**დავით კვირკველიას** ზაპოროჟიეს „მეტალურგი" შინ 1:1 დაუზავდა „კრივბასს", დათომ 90 წუთი ითამაშა და შეძლო, გმირიც გამხდარიყო. 46-ე წუთზე, როცა „მეტალურგი" 1:0 იგებდა, ჩვენებური მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმც ვერ აჯობა, ერთ წუთში კი „კრივბასმა" გაათანაბრა.

**კახა ალადაშვილისა** და **ოთარ მარცვალაძის** „ზაკარპატიე" სტუმრად 0:2 დამარცხდა „ვორსკლასთან". ალადაშვილმა 90 წუთი ითამაშა, მარცვალაძე 59-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

მხოლოდ 6 წუთი ითამაშა **გიორგი დემეტრაძემ** „არსენალის" შემადგენლობაში, „მეთოფეები" კი შინ 0:1 დამარცხდნენ „დინამოსთან".

**ლაშა ჯაკობია, ვლადიმერ ბურდული** და **გიორგი ციმაკურიძე** არ გამოჩენილან „მეტალისტი" — „ზარიას" შეხვედრაში, რომელიც ჯაკობიას „მეტალისტმა" 2:1 მოიგო.

ახლა გოლებზეც: **ჯაბა კანკავამ** „დნიპროს" 89-ე წუთზე მოაგებინა, ქართველმა ნახევარმცველმა ნაკუთხურალს სწორად შეურჩია პოზიცია და „ხარკოვი" შინ უქულოდ გაუშვა — 1:0.

ისრაელის ჩემპიონატში კი **კოკა მიკუჩაძემ** 90-ე წუთზე გაუტანა ბეერ-შევას „ჰაპოელს" და მის „ჰაპოელს" 2:1 მოაგებინა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


ჯაბა კანკავამ „დნიპროს" მოაგებინა

## პოლონეთი
### I ლიგა. XV ტური

ბურნიკი — ვიძევი 1:1; კრაკოვია — ბელხატუვი 0:2; გროცლინი — ოდრა 0:0; იაგელონია — რუხი 1:1; კორონა — ზაგლებე 1:1; ლოძი — ლეხი 1:2; პოლონია — ლეგია 1:2; სოსნოვიეცი — ვისლა 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 15 | 13 | 2 | 0 | 39:7 | 41 |
| ლეგია | 15 | 10 | 1 | 4 | 24:7 | 31 |
| კორონა | 15 | 10 | 1 | 4 | 22:19 | 31 |
| ლეხი | 15 | 9 | 2 | 4 | 30:20 | 29 |
| გროცლინი | 15 | 8 | 2 | 5 | 22:16 | 26 |
| ზაგლებე | 15 | 7 | 4 | 4 | 21:16 | 25 |
| გურნიკი | 15 | 7 | 3 | 5 | 21:20 | 24 |
| ბელხატუვი | 15 | 6 | 5 | 4 | 15:13 | 23 |
| იაგელონია | 15 | 5 | 5 | 5 | 16:22 | 20 |
| კრაკოვია | 15 | 5 | 1 | 9 | 11:17 | 16 |
| რუხი | 15 | 3 | 5 | 7 | 16:24 | 14 |
| პოლონია | 15 | 4 | 2 | 9 | 9:24 | 14 |
| ვიძევი | 15 | 2 | 7 | 6 | 12:18 | 13 |
| ოდრა | 15 | 3 | 4 | 8 | 13:21 | 13 |
| ლოძი | 15 | 1 | 5 | 9 | 7:14 | 8 |
| სოსნოვიეცი | 15 | 2 | 1 | 12 | 13:33 | 7 |

## ირლანდია
### გადასასვლელი პლეი ოფი
### საპასუხო მატჩი

შოტერფორდი 3:3 ფინ ჰარპსი (0:3)

## ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
### A ჯგუფი

**სერბეთი 1:0 ყაზახეთი**

1:0 ოსტაპენკო (79ს.კ.)

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 14 | 8 | 4 | 2 | 24:12 | 28 |
| პორტუგალია | 14 | 7 | 6 | 1 | 24:10 | 27 |
| სერბეთი | 14 | 6 | 6 | 2 | 22:11 | 24 |
| ფინეთი | 14 | 6 | 6 | 2 | 13:7 | 24 |
| ბელგია | 14 | 5 | 3 | 6 | 14:16 | 18 |
| ყაზახეთი | 14 | 2 | 4 | 8 | 11:21 | 10 |
| სომხეთი | 12 | 2 | 3 | 7 | 4:13 | 9 |
| აზერბაიჯანი | 12 | 1 | 2 | 9 | 6:28 | 5 |

## უკრაინა
### ვიშა ლიგა. XVII ტური

ჩერნომორეცი — მეტალურგი (დ) 1:0; კარპატი — ტავრია 4:0; შახტარი — ნაფტოვიკი 1:1; ვორსკლა — ზაკარპატია 2:0; არსენალი — დინამო 0:1; მეტალისტი — ზარია 2:1; მეტალურგი (ზ) — კრივბასი 1:1; დნიპრო — ხარკოვი 1:0

## უნგრეთი
### ბორსოდი ლიგა. XV ტური

უიპეშტი — დებრეცენი 1:1; ფეჰერვარი — ზალაეგერსეგი 2:0; დიოშდიორი — დიოშდიორი 5:1; ნიირედიჰაზა — ვაშაში 2:1; პაკში — შიოფოკი 1:1; რეაკი — კაპოშვარი 1:1; ტატაბანია — ჰონვედი 4:3. შოპრონი — მტკ დღეს გაიმართება

## ბულგარეთი
### ვიშა ლიგა. XIII ტური

ლოკომოტივი (ს) — ლევსკი 0:0; ბეროე — ვიდიმა-რაკოვსკი 2:0; ბოტევი — ვიხრენი 1:0; ჩერნო მორე — ბელასიცა 1:1; მარეკი — ლიტექსი 0:3; ჩერნომორეცი — ცსკა 1:1; ლოკომოტივი (პლ) — სპარტაკი 1:0; სლავია — პირინი 1:0

## იაპონია
### ჯეი ლიგა. XXXIII ტური

ტოკიო — ომია 1:2; გამბა — კობე 1:1; კაშივა — კოფუ 2:1; კავაზაკი — ჰიროშიმა 3:0; ნაგოია — ფკ იოკოჰამა 0:0; ოიტა — ივატა 1:0; შიმიცუ — იჩიჰარა 2:2; ურავა — კაშიმა 0:1; იოკოჰამა — ნიიგატა 1:0



## დიდიე დროგბას მადრიდში ელიან

**თავის** დროზე „რეალის" სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი „სანტიაგო ბერნაბეუზე" ხავიერ სავიოლას მისვლის წინააღმდეგი იყო, თუმცა პრეზიდენტმა კალდერონმა დაიჟინა და ექსბარსელონელი „ბაჭიაც" სამეფო თეთრ ფორმაში გამოაწყვო.

მაშინ კალდერონმა არგენტინელის პრეზენტაციაზე დიდი ამბით განაცხადა, სავიოლა სწორედ ისეთი ტიპის ფეხბურთელია, რომელიც ყველაზე მეტად გვჭირდებოდა და ამიტომაც მის მადრიდში ჩამოსვლას სიხარულით ვეგებებითო. „რეალის" მწვრთნელმა შუსტერმა კი აღნიშნა, ხავიერს ბარსელონელობა ხელს არაფერში შეუშლის, პირიქით, მეტოქე ბანაკიდან გადმოსულ „ბაჭიას" მადრიდელი ფანები პატივით მიიღებენო.

გავიდა რამდენიმე თვე და ესპანეთის სატახტოში სავიოლაზე გული გაუცივდათ. მადრიდული გაზეთებიც „ბაჭიას" სავარაუდო გასხვისებაზე ალაპარაკდნენ. ჯერჯერობით არგენტინელის მომავალი გუნდის ვინაობა უცნობია, თუმც ივნისში რომ ხავიერს სატრანსფერო ბაზარზე გაყვანა არ ასცდება, ამას წყალი არ გაუვა. მადრიდში კი, ესპანური სპორტული მედიის ვერსიით, სადღეისოდ „ბაჭიაზე" უფრო სახელიანი ფორვარდი, დიდიე დროგბა მიდის...

## უდინეზეს პროექტი: მარინო

**იტალიურმა** „უდინეზემ" თავის მწვრთნელ პასკუალე მარინოსთან კონტრაქტი 2012 წლამდე გაახანგძლივა. მარინოს ახლა სერია A-ს ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ და პერსპექტიულ მწვრთნელად მიიჩნევენ. უდინელები მან გასულ ზაფხულს ჩაიბარა და მშვენივრად მუშაობს.

თავად განსაჯეთ, იმსახურებდა თუ არა მარინო ახალ კონტრაქტს — მიმდინარე სეზონში მისმა „უდინეზემ" მოუგო „ლაციოს", „ფიორენტინას" და „იუვენტუსს", ხოლო „ინტერს" ფრედ ეთამაშა...

„უდინეზეს" ახლა 22 ქულა აქვს და „იუვენტუსთან" მეოთხე ადგილს იყოფს.

პასკუალე მარინო: „ადამიანი რაც არ უნდა წარმატებული იყოს, სურს, რომ თავისი საქმე კიდევ უფრო უკეთ აკეთოს და მეც ასე ვარ. ჩვენი პროექტის განსახორციელებლად ახლა უფრო დიდი დრო გვაქვს და ეს ძალიან მიხარია, მეამაყება. კონტრაქტის გახანგძლივებას ველოდი, მაგრამ არა 2012 წლამდე. ყველას დიდი მადლობა და ვეცდები, ნდობა გავამართლო."

„ახლა ჩვენი კლუბისთვის მნიშვნელოვანი პერიოდია. მშვენიერი პროექტი გვაქვს და მარინოს სრულად ვენდობით" — თქვა „უდინეზეს" პრეზიდენტმა ჯამპაოლო პოცომ.

## მეექვსე ოქროს მილანელი

**როგორც** ყოველ წელს ხდება ხოლმე, წლეულსაც წინასწარ ასახელებენ იმ ფეხბურთელის ვინაობას, ვინც სავარაუდოდ „ოქროს ბურთის" მფლობელი გახდება. ალბათ არ გაგიკვირდებათ, რომ წლევანდელი „ოფიციალური" ჭორის თანახმად, 2 დეკემბერს „ფრანს ფუტბოლი" საუკეთესოდ კაკას დაასახელებს.

კორიერე დელა სერას" ცნობით, „ფრანს ფუტბოლის" წარმომადგენლები უკვე დაუკავშირდნენ კაკას და უთხრეს, რომ წელს „ოქროს ბურთს" იგი მიიღებს და სურათების გადასაღებად პარიზში დაპატიჟეს.

თუ მართლაც ასე მოხდა, 25 წლის ფეხბურთელი „მილანის" მეექვსე მოთამაშე გახდება, რომელიც ამ ჯილდოს დაიმსახურებს.

1969 წელს „ოქროს ბურთი" ჯანი რივერამ მოიპოვა, 1987 წელს — რუუდ გულიტმა, 1988, 1989 და 1992 წლებში — მარკო ვან ბასტენმა, 1995 წელს — ჟორჟ ვეამ და 2004 წელს — ანდრეი შევჩენკომ.

# ფერგიუსონმა ხელები წითლად გაშალა

## ინგლისი
### პრემიერლიგა XIV ტური

**ფულემი 2:2 ბლეკბერნი**
1:0 მერფი (51პ), 1:1 ემერტონი (57), 2:1 კამარა (63), 2:2 უორნოკი (79)
ფულემი: ნიემი, ჰიუზი, ბაირდი, კონჩესკი, სტეფანოვიჩი, შ. დევისი, ს. დევისი, დემპსი, მერფი (ჰილი 83), ბუაზა (კუქი 67), კამარა (სეოლი 83)
მწვრთნელი: ლორი სანჩესი
ბლეკბერნი: ფრიდელი, ნელსენი, ოიერი, სამბა, მოკოენა (რიდი 89), უორნოკი, ბენტლი, ემერტონი, თუგაი, პედერსენი, მაკკარტი (რობერტსი 8)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: ბენტლი, მერფი, სტეფანოვიჩი
მსაჯი: დინი
22 826 მაყურებელი

**არსენალი 2:0 უიგანი**
1:0 გალასი (83), 2:0 როსიცკი (85)
არსენალი: ალმუნია, სანია, კ. ტურე, გალასი, კლიში, ებუე (ედუარდო 68), დენილსონი, ლ. დიარა, როსიცკი, ადებაიორი, უოლკოტი (ბენდტნერი 79)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
უიგანი: პოლიტი, ბოისი, გრანკვისტი, ბრამბლი, კილბეინი, ბრაუნი, შარნერი (სკოკო 90), ლანძაატი, ოლემბე (ჰესკი 68), კუმასი, მ. ბენტი (სიბიერსკი 84)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: გალასი, ბრაუნი, გრანკვისტი, ბენტი, ჰესკი
მსაჯი: უოლტონი
20 126 მაყურებელი

**ბოლტონი 1:0 მანჩესტერი**
1:0 ანელკა (11)
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, ე. ობრაიენი, გარდნერი, კამპო, ნოლანი (მაკკანი 83), გუტრიე (ვილჰელმსონი 74), დევისი (სპიდი 70), ანელკა, დიუფი
მწვრთნელი: გარი მეგსონი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი (ოშეი 88), პიკე (ანდერსონი 59), რ. ფერდინანდი, ევრა, ნანი, კარიკი, ჰარგრივსი, გიგზი, საა, ტევესი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: დევისი, ნოლანი, ჰანტი
მსაჯი: კლატენბურგი
25 028 მაყურებელი

**სიტი 2:1 რედინგი**
1:0 პეტროვი (11), 1:1 ჰარპერი (43), 2:1 აირლენდი (90)
სიტი: ისაკსონი, კორლუკა (ონუოჰა 43), რიჩარდსი, დანი, გარიდო, ჯელსონი, ჰამანი, აირლენდი, პეტროვი, ელანო (ჯოვანი 58), მპენზა (სამარასი 46)
მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი
რედინგი: ჰანემანი, მარტი, სონკო, ინგიმარსონი, შორი, ჰანტი, გუნარსონი, ჰარპერი, კონვეი, დოილი (ლონგი 85), კიტსონი
მწვრთნელი: სტივ კოპელი
გაფრთხილება: ჰანტი, ლონგი
მსაჯი: ტენერი
43 813 მაყურებელი

**ნიუკასლი 0:3 ლივერპული**
0:1 ჯერარდი (28), 0:2 კუიტი (46), 0:3 ბაბელი (66)
ნიუკასლი: გივენი, ჯერემი, ბეიე, როზენალი, ხოსე ენრიკე (კარი 78), სმიტი, ბათი, ემრე (ბარტონი 51), ნზოგბია (მილნერი 59), ვიდუკა, მარტინსი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, არბელოა, ჯერარდი (კრაუჩი 80), ლეივა, სისოკო, კიუელი (ბაბელი 58), ფ. ტორესი, კუიტი (რიისე 76)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ბათი, ბეიე, სმიტი, სისოკო
მსაჯი: ვაილი
52 307 მაყურებელი

**დერბი 0:2 ჩელსი**
0:1 კალუ (17), 0:2 რაიტ-ფილიპსი (73)
დერბი: ბივატერი, გრიფინი, დევისი, მური, ლიკოკი, მაკივენი, ფაგანი (ერნშოუ 86), ოკლი (ფილპაბერი 84), ჯონსი, მილერი, ბერნესი (ჰოვარდი 75)
მწვრთნელი: ბილი დევისი
ჩელსი: კუდიჩინი, ბელეტი, ტერი, ბენ ჰაიმი, ჯ. კოული, მიკელი, ლამპარდი (კ. პიზარო 90), სიდველი (ესიენი 75), შ. რაიტ-ფილიპსი, შევჩენკო, ს. კალუ
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
გაფრთხილება: კოული
გაძევება: ესიენი (90)
მსაჯი: მარინერი
32 789 მაყურებელი

**ევერტონი 7:1 სანდერლენდი**
1:0 აიეგბენი (12), 2:0 კეჰილი (17), 3:0 პიენაარი (43), 3:1 იორკი (45), 4:1 კეჰილი (62), 5:1 აიეგბენი (73), 6:1 ჯონსონი (80), 7:1 ოსმანი (85)
ევერტონი: ჰოვარდი, ფ. ნევილი, იობო (იაგიელკა 81), ლესკოტი, ნუნუ ვალენტე, არტეტა, კარსლი, ოსმანი, პიენაარი, ტ. კეჰილი (ანიჩებე 74), აიეგბენი (დ. ჯონსონი 74)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
სანდერლენდი: გორდონი, უიტეჰედი, მაკშეინი, ჰიგინბოთემი, ჰარტი, ედვარდსი, ეტუჰუ (უოლესი 46), იორკი (კოლინზი 46), ლიდბიტერი, ჩოპრა (კ. კოული 67), ჯონსი
მწვრთნელი: როი კინი
გაფრთხილება: მაკშეინი
მსაჯი: დოუდი
38 594 მაყურებელი

**ბირმინგემი 0:2 პორტსმუთი**
0:1 მუნტარი (34), 0:2 კრანჩარი (82)
ბირმინგემი: კინგსონი, კელი, ჯურუ, რიდგუელი, შმიტცი, დე რიდერი, მუამბა, ნაფტი, მაკშეფრი (ოკონორი 74), კაპო, ფორსელი
მწვრთნელი: ერიკ ბლეიკი
პორტსმუთი: ჯეიმსი, გ. ჯონსონი, კემპბელი, დისტინი, პამარო, უტაკა (ტეილორი 81), დიოპი, დევისი, მუნტარი, კრანჩარი, მვარუვარი
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: მაკშეფრი, კაპო, ნაფტი, დევისი, მვარუვარი
მსაჯი: ატკინსონი
28 089 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 1:1 ტოტენჰემი**
1:0 კოული (20), 1:1 დოუსონი (67)
ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, გაბიდონი, მაკკარტნი, აპსონი, ეზერინგტონი, მალონსი, ნობლი (პარკერი 63), სოლანო (სპექტორი 82), ბოა მორტე (ეშტონი 72), კ. კოული
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ტოტენჰემი: რობინსონი, ჩიმბონდა, დოუსონი, კაბული (დ. ბენტი 54), ბეილი, ჯენასი, ლენონი, ზოკორა, მალბრანკი, ბერბატოვი, კინი (დეფო 78)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ზოკორა, კოული, ჩიმბონდა, დოუსონი, გაბიდონი, ეზერინგტონი, დეფო
მსაჯი: რაილი
35 966 მაყურებელი

**მიდლსბრო 0:3 ასტონ ვილა**
0:1 კარეუ (45), 0:2 მელბერგი (48), 0:3 აგბონლაჰორი (58)
მიდლსბრო: შვარცერი, იანგი, ვუდგეიტი, უიტერი, პოგატეცი, ონილი, კეტერმოლი (როჩემბაკი 53), ბოატენგი, ჯონსონი, ალიადიერი (ჰატჩინსონი 75), დაუნინგი
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
ასტონ ვილა: კარსონი, ნაითი, მელბერგი, ლაურსენი (დევისი 84), ბუმა, პეტროვი (გარდნერი 79), რეო-კოკერი, ბერი, იანგი, კარეუ (მელოუნი 74), აგბონლაჰორი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: კეტერმოლი, დაუნინგი, რეო-კოკერი
მსაჯი: სტრუდი
23 900 მაყურებელი


AFP ნიუკასლიდან
ნიუკასლი — ლივერპული. დირკ კუიტის გოლი მასპინძელთა კარში

**ალექს ფერგიუსონი** პირველი ტაიმის დასრულების მერე მსაჯს ეჩხუბა, რისთვისაც გააძევეს და შესვენების შემდეგ ტრიბუნიდან უყურა თავისი გუნდის პირველ მარცხს აგვისტოს შემდეგ. შოტლანდიელმა მწვრთნელმა ხელები გაუშალა მარკ კლატენბურგს, რომელმაც უხეშობისთვის მასპინძელი კევინ დევისი გააფრთხილა. ფერგიუსონის აზრით, დევისი წითელ ბარათს იმსახურებდა და არბიტრსაც ამიტომ უყვირა. არადა, ერთი თვის წინ შოტლანდიელმა თქვა, რომ კლატენბურგი პრემიერლიგის საუკეთესო მსაჯია, მაგრამ „ბოლტონთან" მატჩის შემდეგ საპირისპიროს ამტკიცებდა: „კლატენბურგს პირდაპირ ვუთხარი, მასზე რასაც ვფიქრობ. ზოგ მსაჯს სიმართლის მოსმენა არ სიამოვნებს, მაგრამ მე ავუხსენი, თუ რაოდენ ცუდად აკეთა საქმე პირველ ტაიმში. მან „ბოლტონისგან" ზღვარგადასული უხეშობა ვერ აღკვეთა."

„ბოლტონის" თავკაცმა გარი მეგსონმა კი პირველი გამარჯვება მიითვალა მას შემდეგ, რაც მწვრთნელად დანიშნეს და გახარებულმა თქვა: „ამ მატჩამდე ბოლოდან მესამე ადგილზე ვიყავით და გუნდს აგრესიული თამაში ვთხოვე, რაც კარგად შეასრულეს და სამი ქულაც ავიღეთ."

ნიკოლა ანელკამ დასაწყისში გაუტანა „მანჩესტერს" — კარის წინ მიიღო ბურთი, შებრუნდა და ვან დერ სარს კუთხეში შეუგდო. სტუმრებს კი კრიშტიანუ რონალდუს ნაპერწკალი აკლდათ — პორტუგალიელმა ნაკრებში ორი მატჩი ითამაშა და მწვრთნელმა დაასვენა. კარლოს ტევესს ორი, ევრას კი ერთი შანსი ჰქონდა გასათანაბრებლად, მაგრამ ვერ გამოიყენეს და „მანჩესტერი" „არსენალს" სამი ქულით ჩამორჩა.

ჩამორჩა იმიტომ, რომ „მეთოფეებმა" „უიგანი" მატჩის მიწურულს გატეხეს. „უიგანს" ერთი კვირის წინ ახალი მწვრთნელი, „ბირმინგემის" ყოფილი თავკაცი სტივ ბრიუსი დაუნიშნეს და მისმა გუნდმა არსენ ვენგერისას გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია.

„მეთოფეებს" ზედიზედ მეორე ტურია, მცველი უილიამ გალასი შველის. ფრანგმა „მანჩესტერთან" ბოლო წუთზე გაათანაბრა, ამჯერად კი „არსენალის" მოგებას სათავე დაუდო — სანიას ჩაწოდებულს თავი დაუხვედრა, ხოლო შემდეგ ტომაშ როსიცკიმ მეორე შეაგდო.

„მანჩესტერის" თანაქალაქელი „სიტი" კი ლიდერებს მისდევს. სვენ გორან ერიკსონის გუნდს „რედინგის" ძლევა გაუჭირდა, მაგრამ სტივენ აირლენდის ბოლო წუთზე გატანილით მიითვისა სამი ქულა.

ანგარიში მარტინ პეტროვმა გახსნა — მპენზას დარტყმული მეკარემ მოიგერია, ელანომ დაამატა და ძელს გაარტყა, ხოლო უკუგდებულით პეტროვმა იხეირა. ჰარპერმა ტაიმის მიწურულს კონვეის პასით გაათანაბრა, მაგრამ მეორე ტაიმის დასასრულს აირლენდმა „სიტის" საშინაო რეკორდი არ შეარცხვინა — გუნდმა რვიდან მერვე მოიგო.

„ლივერპულმა" სტუმრად მეხუთე მატჩი მოიგო, სტივენ ჯერარდმა კი საუცხოო გოლი გაუტანა „ნიუკასლს", რომელმაც სამი კვირის წინ სამი ბურთის სხვაობით (1:4) შინ „პორტსმუთთან" წააგო.

ჯერარდის დაახლოებით 30 მეტრიდან დარტყმულს შეი გივენი ვერ მისწვდა და 0:1. მეორე ტაიმის დასაწყისში დირკ კუიტმა მეორე შეაგდო, ხოლო შეცვლაზე შესულმა რაინ ბაბელმა, ჯერარდთან გათამაშებული კომბინაციის შედეგად სხვაობა სამამდე გაზარდა.

„ჩელსის" არ გასჭირვებია სტუმრად „დერბის" დამარცხება, ვისაც ყველა უგებს, თუ არ დაეზარება. სალომონ კალუმ ოთხსვლიანი კომბინაცია გოლით დაასრულა, ხოლო რაიტ-ფილიპსმა ძელიდან ასხლეტილს დაამატა.

როი კინის „სანდერლენდს" ხუთ წუთში „ევერტონმა" ორი გოლი რომ გაუტანა, ამის მერე გონს ვეღარ მოეგო. მასპინძელთაგან კი აიეგბენიმ და კეჰილმა დუბლი შეასრულეს, ხოლო პიენაარმა, ჯონსონმა და ოსმანმა თითო-თითო გოლით გაალამაზეს „ევერტონის" მოგება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 13 | 10 | 3 | 0 | 29:10 | 33 |
| მანჩესტერი | 14 | 9 | 3 | 2 | 23:7 | 30 |
| სიტი | 14 | 9 | 2 | 3 | 18:14 | 29 |
| ჩელსი | 14 | 8 | 4 | 2 | 21:9 | 28 |
| ლივერპული | 13 | 7 | 6 | 0 | 22:6 | 27 |
| პორტსმუთი | 14 | 7 | 5 | 2 | 25:13 | 26 |
| ასტონ ვილა | 13 | 7 | 3 | 3 | 21:14 | 24 |
| ევერტონი | 14 | 7 | 2 | 5 | 26:16 | 23 |
| ბლეკბერნი | 13 | 6 | 5 | 2 | 17:13 | 23 |
| ვესტ ჰემი | 13 | 5 | 4 | 4 | 19:11 | 19 |
| ნიუკასლი | 13 | 5 | 3 | 5 | 19:21 | 18 |
| ფულემი | 14 | 2 | 7 | 5 | 18:22 | 13 |
| რედინგი | 14 | 4 | 1 | 9 | 17:31 | 13 |
| ტოტენჰემი | 14 | 2 | 6 | 6 | 24:25 | 12 |
| ბოლტონი | 14 | 2 | 5 | 7 | 12:18 | 11 |
| ბირმინგემი | 14 | 3 | 2 | 9 | 13:22 | 11 |
| მიდლსბრო | 14 | 2 | 4 | 8 | 12:26 | 10 |
| სანდერლენდი | 14 | 2 | 4 | 8 | 14:29 | 10 |
| უიგანი | 14 | 2 | 2 | 10 | 10:25 | 8 |
| დერბი | 14 | 1 | 3 | 10 | 5:33 | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მვარუვარი (პორტსმუთი) | 8 |
| ადებაიორი (არსენალი) | 7 |
| ანელკა (ბოლტონი) | 7 |

**XV ტური**
1 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | : | არსენალი |
| ბლეკბერნი | : | ნიუკასლი |
| ჩელსი | : | ვესტ ჰემი |
| ლივერპული | : | ბოლტონი |
| მანჩესტერი | : | ფულემი |
| პორტსმუთი | : | ევერტონი |
| რედინგი | : | მიდლსბრო |
| სანდერლენდი | : | დერბი |
| ტოტენჰემი | : | ბირმინგემი |
| უიგანი | : | სიტი |

**ჩემპიონატი. XVII ტური**
კარდიფი — იფსვიჩი 1:0; სკანთორპი — ჰალი 1:2; ბარნსლი — უოტფორდი 3:2; ბრისტოლი — ლესტერი 0:2; ბარნლი — სტოკი 0:0; კოლჩესტერი — კრ. პალასი 1:2; ნორვიჩი — ქოვენთრი 2:0; ქუინზ პარკი — უენსდი 0:0; შეფილდი — პლიმუთი 0:1; საუთჰემპტონი — ბლეკპული 1:0; პრესტონი — ჩარლტონი 0:2; ვესტ ბრომვიჩი — ვულვზი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უოტფორდი | 17 | 11 | 3 | 3 | 31:21 | 36 |
| ვესტ ბრომვიჩი | 17 | 9 | 4 | 4 | 35:16 | 31 |
| ჩარლტონი | 17 | 9 | 4 | 4 | 24:15 | 31 |
| პლიმუთი | 17 | 7 | 6 | 4 | 23:18 | 27 |
| ვულვზი | 17 | 7 | 6 | 4 | 18:15 | 27 |
| ბრისტოლი | 17 | 7 | 6 | 4 | 21:22 | 27 |
| ბარნსლი | 17 | 7 | 5 | 5 | 23:24 | 26 |
| იფსვიჩი | 16 | 7 | 4 | 5 | 31:23 | 25 |
| ჰალი | 17 | 7 | 4 | 6 | 23:18 | 25 |
| სტოკი | 17 | 6 | 6 | 5 | 22:22 | 24 |
| ქოვენთრი | 17 | 7 | 3 | 7 | 20:26 | 24 |
| საუთჰემპტონი | 17 | 7 | 2 | 8 | 25:33 | 23 |
| ბარნლი | 16 | 5 | 7 | 4 | 21:20 | 22 |
| უენსდი | 17 | 6 | 3 | 8 | 24:25 | 21 |
| ლესტერი | 16 | 4 | 8 | 4 | 16:12 | 20 |
| შეფილდი | 17 | 5 | 5 | 7 | 21:23 | 20 |
| სკანთორპი | 17 | 5 | 5 | 7 | 19:22 | 20 |
| კარდიფი | 16 | 4 | 6 | 6 | 20:23 | 18 |
| კოლჩესტერი | 17 | 3 | 8 | 6 | 28:29 | 17 |
| კრ. პალასი | 17 | 3 | 8 | 6 | 18:21 | 17 |
| ბლეკპული | 16 | 3 | 7 | 6 | 18:22 | 16 |
| ქუინზ პარკი | 16 | 3 | 7 | 6 | 14:24 | 16 |
| პრესტონი | 17 | 3 | 6 | 8 | 15:22 | 15 |
| ნორვიჩი | 17 | 3 | 3 | 11 | 12:26 | 12 |

**პირველი ლიგა. XVII ტური**
ბორნმუთი — ოლდემი 0:3; ბრაიტონი — კარლაილი 2:2; ჯილინგემი — ჰარტლპული 2:1; ჰადერსფილდი — ლეიტონი 0:1; ლუთონი — საუთენდი 1:0; მილუოლი — იოვილი 2:1; ნორთჰემპტონი — უოლსოლი 0:2; ნოტინგემი — ქრიუ 2:0; პორტ ვეილი — დონკასტერი 1:3; სუინდონი — როვერსი 1:0; ტრანმერი — სუონსი 0:1; ჩელტენემი — ლიდსი 1:0

**მეორე ლიგა. XVII ტური**
ბარნეტი — გრიმსბი 0:3; ბრედფორდი — სტოკპორტი 1:1; დარლინგტონი — უიკომბი 1:0; ჰერეფორდი — აკრინგტონი 0:0; ლინკოლნი — ნოტსი 2:1; მაკლსფილდი — დაგენემი 1:1; დონსი — ჩესტერფილდი 1:2; მორეკემბი — ბერი 2:1; პიტერბორო — ბრენტფორდი 7:0; როჩდეილი — მენსფილდი 1:0; როტერემი — შრუსბერი 2:0; რექსემი — ჩესტერი 2:2

**კონფერენსლიგა. XX ტური**
ალდერშოტი — გრეისი 3:2; ბარტონი — კემბრიჯი 1:2; ქროული — ფერსლი 4:1; დროილსდენი — ფორესტ გრინი 5:3; ებსფლიტი — სტაფორდი 2:1; ჰალიფაქსი — სალისბერი 1:1; ჰისტონი — ექსეტერი 2:2; კიდერმინსტერი — ოქსფორდი 0:2; ნორსვიჩი — რაშდენი 1:0; ტორკი — უოკინგი 2:0; ვეიმუთი — იორკი 1:2. სტივენიჯი — ალტრინჩემი დღეს გაიმართება

# გერმანია

## ბუნდესლიგა XIV ტური

**ჰანოვერი 2:3 შალკე**

1:0 ჰუშტი (17), 1:1, 1:2 კურანი (41, 50), 2:2 ჰუშტი (53), 2:3 ალტინტოპი (62)
ჰანოვერი: ენკე, ბალიტში, ვინისიუსი, ფარენჰორსტი, ტარნატი, ლალა (ჰაშემიანი 71), კ. შულცი, როზენტალი (ლაუტი 56), ს. პინტო (ბრუგინკი 77), ჰუშტი, ჰანკე
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ფ. ერნსტი, ბაირამოვიჩი, რაკიტიჩი (აზაუაგი 87), იოზილი, ასამოა (ჰალილ ალტინტოპი 46), კურანი (ლარსენი 89)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
გაფრთხილება: ჰანკე, კრსტაიჩი, პინტო, რაფინია
მსაჯი: პერლი
49 000 მაყურებელი

**კარლსრუე 2:1 ჰერტა**

0:1 პანტელიჩი (35), 1:1 ჰაინალი (56), 2:1 ფრაისი (66)
კარლსრუე: კორნეცკი, ა. გიორლიცი, ეგიმენი, ფრანცი, აიხნერი, მუტცელი, პორკელიო, ფრაისი, ჰაინალი (შტაფელდტი 90), კარნელი (ორაჰოვაცი 46), კაპლანი (ადუბე 83)
მწვრთნელი: ედმონდ ბეკერი
ჰერტა: დრობნი, ჩაჰედი (ედე 82), ა. ფრიდრიხი, ვონ ბერგენი, ფატი, დარდაი, შიმუნიჩი, პიშჩეკი (ს. ოკორონკვო 63), ლუსტენბერგერი (ანდრე ლიმა 72), ებერტი, პანტელიჩი
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
გაფრთხილება: მუტცელი, ოკორონკვო, ფრანცი, ფრიდრიხი, ჰაინალი, ებერტი
მსაჯი: ვაინერი
29 217 მაყურებელი

**ბაიერნი 2:1 ვოლფსბურგი**

1:0 კლოზე (35), 2:0 რიბერი (50), 2:1 დეჯაგა (71)
ბაიერნი: კანი, ლელი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ლამი, ზე რობერტო, ვან ბომელი, ჰამიტ ალტინტოპი, რიბერი (კროოსი 86), კლოზე, ტონი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ვოლფსბურგი: იენჩი, ბაიერი (ჟოსუე 84), შიმუნეკი, რიკარდუ კოშტა, ვან დერ ჰიდენი, გენტნერი, მადლუნგი, დეჯაგა, კრჟინოვეკი (რადუ 76), მარსელინიო, გრაფიტე (ძეკო 46)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ბაიერი
მსაჯი: კირხერი
69 000 მაყურებელი

**კოტბუსი 0:2 ვერდერი**

0:1 დიეგო (63პ), 0:2 მოსკერა (83)
კოტბუსი: ტრემელი, და სილვა, ი. მიტრესკი, ცვიტანოვიჩი, ციბიგი, ტ. როსტი, ს. ანგელოვი, რივიჩი (ალონეფტისი 67), შკელა, დ. სორენსენი, კიოიო
მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი
ვერდერი: ვიზე, კ. ფრიცი, მერტესაკერი, ნალდო, პასანენი, ბაუმანი, დ. იენსენი, ბოროვსკი (ვრანიეში 79), დიეგო, კლასნიჩი (ჰარნიკი 64), როზენბერგი (მოსკერა 76)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ცვიტანოვიჩი, ვიზე, მერტესაკერი, როზენბერგი
მსაჯი: გრეფე
14 685 მაყურებელი

**ჰამბურგი 2:0 ჰანზა**

1:0 ვან დერ ვაარტი (19), 2:0 ოლიჩი (61)
ჰამბურგი: ფ. როსტი, ბენჯამინი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ატუბა, იაროლიმი (დე იონგი 74), კომპანი, კასტელენი, ვან დერ ვაარტი (ჩუპო-მოტინგი 82), ტროხოვსკი, ოლიჩი (ზიდანი 77)
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
ჰანზა: ვეხტერი, დ. ლანგენი, სებასტიანი, ორესტესი, მ. შტაინი, რატგები, ბაინლიხი (იელემი 67), ბარტელსი, რანი (პირსი 67), აგალი (დორნი 75), კერნი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: აგალი
მსაჯი: ფლაიშერი
57 000 მაყურებელი

**ლევერკუზენი 4:1 დუისბურგი**

0:1 მოხტარი (10), 1:1 ბარბარესი (47), 2:1 როლფესი (66), 3:1 ფრაიერი (75), 4:1 გეკასი (81)
ლევერკუზენი: რ. ადლერი, კასტრო, მ. ფრიდრიხი, ჰაგუი, გრეშკო, ვიდალი (ფატი 84), როლფესი, ფრაიერი (შარპეი 76), ბარნეტა (გეკასი 46), ბარბარესი, კისლინგი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
დუისბურგი: შტარკე, ვებერი, ფილიპესკუ, ფერნანდო, ვილი, გრლიჩი, გეორგიევი (ლავრიჩი 72), ტიფერტი (ლამეი 59), ი. მოხტარი, იდრისუ, იშიაკუ
მწვრთნელი: ედუარდ ბომერი
გაფრთხილება: ფრაიერი, გრლიჩი, გეკასი, ფერნანდო
მსაჯი: დრეესი
22 500 მაყურებელი

**აინტრახტი 1:4 შტუტგარტი**

1:0 კიოლერი (41), 1:1 ჰიბერტი (45), 1:2 მარიკა (48), 1:3 ჰიცლშპერგერი (57), 1:4 კაკაუ (90)
აინტრახტი: პრიოლი, კირიაკოსი, კრისი, გალინდო, პ. ოხსი (ტაკაჰარა 58), ინამოტო (მ. ფინკი 80), შპიხერი, მაჰდავიკია, ტურკი, კიოლერი, ამანატიდისი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
შტუტგარტი: რ. შეფერი, ბეკი, ფ. მეირა, დელპიერი, მანინი, პარდო, ჰილბერტი (ოსორიო 74), ჰიცლშპერგერი (მაისნერი 89), ხედირა, კაკაუ, გომესი (მარიკა 41)
მწვრთნელი: არმინ ფეე
გაფრთხილება: ტურკი, კაკაუ, ჰიცლშპერგერი, ბეკი
მსაჯი: გაგელმანი
51 500 მაყურებელი

**ნიურნბერგი 2:0 დორტმუნდი**

1:0 გალაშეკი (10), 2:0 ხარისტიასი (90)
ნიურნბერგი: ბლაჟეკი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, ბეჩამპი, ენგელჰარდტი, გალაშეკი, კლუგე (გლაუბერი 90), ნ. ადლერი (საენკო 77), მინტალი, მისიმოვიჩი, ხარისტიასი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, ამედიკი, ბრჟენსკა, კოვაჩი, დედე, კელი, ტინგა (ბაკლი 80), ბლაშჩიკოვსკი (ფედერიკო 46), კრინგე, პეტრიჩი, კლიმოვიჩი (ვალდესი 63)
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: ენგელჰარდტი, ამედიკი, ბრჟენსკა, კლუგე, კლიმოვიჩი, დედე, ბრჟენსკა
გაძევება: ბრჟენსკა (86)
მსაჯი: რაფატი
41 020 მაყურებელი

**ბოხუმი 3:0 არმინია**

1:0, 2:0 მაისელი (12, 15), 3:0 დაბროვსკი (55)
ბოხუმი: რენო, კონჩა, მალტრიცი, იაია, პფერცელი, ცდებელი (იმჰოფი 46), დაბროვსკი, ეპალე (ბეხმანი 78), დ. ფუხსი (გროტე 83), მაისელი, შესტაკი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
არმინია: ფერნანდესი, კირხი, კუჩერა, ლანგკამპი (კორჟინეცი 37), ბოლმანი, კაუფი, ტ. მარქსი (ნ. ფიშერი 89), კამპერი, ბიომე (დ. კობილიკი 73), ვიშნიარეკი, ზუმა
მწვრთნელი: ერნსტ მიდენდორპი
გაფრთხილება: ცდებელი, ბოლმანი, მარქსი
მსაჯი: კემპტერი
